# გარეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №21-22(299-300) 2023 წ. 1-30 ნოემბერი ფასი 2 ლარი


## საქართველოს მთავრობა

**ევროკომისია დადებითად აფასებს საქართველოს მიერ მიღწეულ შედეგს და ევროპულ საბჭოს აძლევს რეკომენდაციას, საქართველოს მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი**




**2024 წელს**, საქართველოს ბიუჯეტი 28 მილიარდ 500 მილიონი ლარი იქნება. შედარებისთვის - საქართველოს ბიუჯეტი 2012 წელს 9 მილიარდი ლარი იყო.

## ახალი პროგრამა
## უსახლკარო და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის

**2024-2025** წლებში განხორციელდება ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ეტაპობრივად, საცხოვრებლით დაკმაყოფილდება 1000-მდე უსახლკარო მრავალშვილიანი ოჯახი. პროგრამის განსახორციელებლად, ჯამურად გამოიყოფა 50 მილიონი ლარი.

## იზრდება პედაგოგთა ხელფასები

**2024 წელს,** განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი - 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი იქნება. სრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებელთა ხელფასი საშუალოდ 500 ლარით გაიზრდება.

## „მზიანი საქართველო 2023“

**ტრადიციულ** ფოლკლორულ ფესტივალს - „მზიანი საქართველო 2023 “ საგარეჯომ უმასპინძლა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ: თბილისის, საგარეჯოს, ბათუმის, ხაშურის, მცხეთის, წაღვერის და ახმეტის საბავშვო ფოლკლორული ანსამბლები.

საკონცერტო ნომრების დაწყებამდე, საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა, მსვლელობა მოაწყეს და საქართველოს სახელმწიფო დროშა საზეიმო ვითარებაში გაშალეს.

დღის ბოლოს, კულტურის სახლის დიდ დარბაზში საფესტივალო ნომრების ჩვენება მოეწყო, მონაწილე ანსამბლებმა თავიანთი რეპერტუარიდან ეროვნული ცეკვები და სიმღერები შესთავაზეს მაყურებელს.





## კახეთი
## ფესტივალი – „ჭაჭა-2023“

**კახეთში**, მთავრობის ადმინისტრაციის ხელშეწყობით ყოველწლიური, ტრადიციული ფესტივალი - „ჭაჭა 2023“ გაიმართა.

ფესტივალი ყოველი წლის ნოემბრის პირველ შაბათს რეგიონის რვავე მუნციპალიტეტის მონაწილეობით იმართება თელავში.

„ჭაჭა“ ერთადერთი რეგიონული, ყოველწლიური ფესტივალია, რომელშიც ფერმერები, გლეხები, მცირე მარნებისა და ჭაჭის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები იღებენ მონაწილეობას კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტიდან.




ფესტივალი მუსიკალურ - თეატრალიზებული მსვლელობით გაიხსნა.



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტი“-ს მიერ გაიმართა საქართველოს დაცული რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების პრეზენტაცია.

ერეკლე II-ის მოედანზე, კახეთის მუნიციპალიტეტების მიერ მოწყობილი იყო შემდგომისთვის დამახასიათებელი თემატური პავილიონები, მოეწყო ადგილობრივი მეწარეების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა - გაყიდვა, სადაც ძირითად პროდუქტს ჭაჭა წარმოადგენდა.



ღონისძიების ბოლოს, გაიმართა გამარჯვებულების დაჯილდოება 2023 წელს საუკეთესო ჭაჭის წარმოებისთვის. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში მცხოვრები ჩალათაშვილების ოჯახი საუკეთესო ტრადიციული ჭაჭის წარმოებისთვის ვერცხლის მედალლით დაჯილდოვდა. ასევე, სოფელ მანავის მკვიდრ, ღვთისავრიშვილების ოჯახს საუკეთესო გლეხური ჭაჭის წარმოებისთვის სერთიფიკატი მიენიჭა.

გამოვლინდა 2023 წლის ფესტივალზე ყველაზე კრეატიული მუნციპალიტეტი, რომელსაც ფესტივალის ორგანოზატორის მხრიდან ფულადი ჯილდო გადაეცა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის.




ფესტივალი ვასო აბაშიძის სახელობის „ახალი თეატრის“ მიერ წარმოდგენილი სპექტაკლით „გაყრა“ და „შეყრა“ დასრულდა.

ფესტივალის ორგანიზატორები:

- საქართველოს კულტურის პალატა;
- ტურიზმის განვითარების ასოციაცია;
- კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია.

ფესტივალის მხარდამჭერები:

-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“;
- საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტო.

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**27 ოქტომბერი 2023 წელი**

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

**გაგრძელება**

*დასაწყისი იხ. №20-ში*



***ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ხაზით:***

• **მიმდინარე** წელს, პროგრამული ბიუჯეტის მიხედვით განყოფილების მიერ მოხდა საინფორმაციო ფლაერებისა და ბუკლეტების დაბეჭდვა ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, რომელიც გადაეცა ოფიციალურ დელეგაციებს სხვადასხვა ვიზიტებისას და უცხოეთში სტუმრობისას. მომზადდა სასაჩუქრე ბრენდირებული სუვენირები მუნიციპალური სიმბოლოებით.

• ყოველი კვარტლის ბოლოს, განყოფილების თანამშრომელთა მიერ ხდება ტურისტული ობიექტების (ღვინის მარნები, სასტუმროები, კვების ობიექტები) შესახებ ინფორმაციის მოძიება და შემდეგ განთავსება ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში.

***• მიმდინარე წელს განყოფილების მიერ მომზადდა სამი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის 7 წლიანი სამოქმედო გეგმა. 2. მდგრადი განვითარების მიზნების საგარეჯოს მუნიციპალური დოკუმენტი; 3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალო ვადიანი განვითარების დოკუმენტი;***

• ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების თანამშრომლებმა - ***აზერბაიჯანის*** ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დელეგაციას უმასპინძლეს.

შეხვედრის მიზანი კავკასიის რეგიონში ტრანსჰუმანიზმის მსგავსი კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და ღირებულებების გაცნობა-შესწავლა გახლდათ, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული თავისებურებების, ეკონომიკური და სოციალური პირობებისა და ცხოვრების წეს-ჩვეულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

• **ესპანეთის** ქალაქ ***ჟირონაში***, მორიგი ხელოვნებისა და კულტურის ფესტივალების EFA-ს სამიტზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი, ავთანდილ გულიკაშვილი, მოადგილესთან - გიორგი ლალიაშვილთან და ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ხელმძღვანელ-ქეთევან გრატიაშვილთან ერთად ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. წარმომადგენლობითი დელეგაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მიწვეული იქნა არსებულ ***სამიტზე, რათა საგარეჯო შეურთდეს ევროპის საფესტივალო ქალაქების პლატფორმას***. არსებული ქსელი მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვა აქტივობის შესახებ საერთაშორისო ასპარეზზე გაავრცელოს ინფორმაცია, კულტურის და ტურიზმის კუთხით გააცნოს მსოფლიოს მუნიციპალიტეტი, მოიზიდოს სხვადასხვა სახის დაფინანსება/გრანტები და ითანამშრომლოს ევროპის საფესტივალო ქალაქებთან. EFA-ს ყოველწლიურ შეხვედრაზე ჟირონაში, ხელოვნების ფესტივალების სამიტზე 22-დან 27 აპრილის ჩათვლით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ 200-მდე ფესტივალის შემქმნელებს მთელი მსოფლიოდან, მათ შორის, 40-მდე ევროპული (საფესტივალო) ქალაქის მერს, კატალონიაში. პროგრამა მოიცავდა პლენარულ სესიებს, ძირითად გამოსვლებს, სამუშაო შეხვედრებს, მცირე ჯგუფების მრგვალ მაგიდებს და სხვადასხვა კულტურულ და მხატვრულ აქტივობებს. აღნიშნული ღონისძიებები დელეგატების შთაგონებისა და ახალი ნარატივების, ასევე გამოცდილების გაზიარების საშუალება იყო, რომელიც მომავალში ფესტივალებს, ქალაქებს შორის ქსელის, თანამშრომლობისა და პროდუქციის შექმნას შეუწყობს ხელს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტმა წარმატებით მიიღო მონაწილეობა არსებულ სამიტში და ხელმოწერით შეუერთდა საფესტივალო ქალაქების პლატფორმას, რომელიც მომავალში მუნიციპალიტეტს დადებითად გამოადგება.

• მაისის თვეში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს ოფიციალური ვიზიტით ***იტალიის დელეგაცია ეწვია.***

ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა იუნესკოს თეატრის იტალიის ინსტიტუტის პრეზიდენტთან - პროფ. ფაბიო ტოლედისტან, იტალიის საერთაშორისო პროექტების პასუხისმგებელ პირთან როზერტა ქუარტასთან, ევროპის ასტრაგალის თეატრის კულტურის მენეჯერთან ივანო გორგონთან და სალენტოს უნივერსიტეტის გაძლიერებული და ვირტუალური რეალობის ლაბორატორიის ხელმძღვანელ -პროფ. ლუსიო დე პაოლისისთან, შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს საგარეჯოსა და იტალიის ქალაქ ლეჩეს ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივაზე შეთანხმდნენ, რაც გულისხმობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას და კულტურის პოპულარიზაციას, ასევე ისაუბრეს მუნიციპალიტეტისთვის აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა -განხორციელებაზე.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში მხარეებს შორის- საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმება შედგა: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (საქართველო), სალენტოს უნივერსიტეტის გაფართოებული და ვირტუალური რეალობის ლაბორატორია (ინჟინერიის განყოფილება) (იტალია), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (საქართველო), სახვითი ხელოვნების აკადემია (საქართველო), ადამიანის განვითარებისა და კულტურის საერთაშორისო სკოლა (კაკაბეთი, საქართველო, ჩIშ), იუნესკოს სტუ-ს თავმჯდომარესა დასან ცესარიოს მუნიციპალიტეტს შორის. დელეგაციის წევრებმა განსაზღვრეს საგარეჯოსა და აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის კონკრეტული მიმართულებები, რაც გულისხმობს - ტურიზმის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებას.დღის წესრიგის ფარგლებში, სხვადასხვა აქტივობები, პრეზენტაციები და შეხვედრები განხორციელდა.

• მდგრადი ენერგეტიკის დღისადმი მიძღვნილი და ევროპის ენერგეტიკის კვირეულის ფარგლებში, ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობების და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ორგანიზებით, ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანია ჩატარდა, ველოტური და მცირე მასშტაბიანი ექსკურსია სახელწოდებით - "აირჩიე მწვანე-ჯანსაღი მომავლისთვის"! ველოტურში მონაწილეობას იღებდნენ საგარეჯოს საჯარო სკოლების მოსწავლეები, მოხალისეები და სპორტის მასწავლებლები. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში, მოსწავლეებსა და მოხალისეებს საშუალება ქონდათ დაეთვალიერებინათ და ადგილზე გაცნობოდნენ სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოს" მხარდაჭერით ქალაქ საგარეჯოში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ჩირისა და გამომშრალი ბოსტნეულის მწარმოებელ საწარმოშპს "ჯეო-ორგანიკი"-ში ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელიც მზის სისტემაზე მომუშავე საშრობი აგრეგატით არის აღ-

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი ბილაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

**გაგრძელება**

*დასაწყისი იხ. №20-ში*

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის №330 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" 2021 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 111862.44 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 ივლისის №1266 განკარგულებიდან ნაშთი შეადგენს 8851.79 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №2685 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 226351.32 ლარს:

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებით „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" 2021-2022 წელს გამოყოფილი თანხებიდან ნაშთი შეადგენს 507386,14 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 1428530,05 ლარს:

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აპრილის №604 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" 2022 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 16114,13 ლარს;

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №277 განკარგულებით 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 668 ათასი ლარიდან ნაშთი შეადგენს 138549,07 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის №926 განკარგულებით 2022 წელს საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან ნაშთი შეადგენს 0,27 ლარს.

***ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) დაფინანსდა: ნაშთის გამოყენება:***

1) ***მუნიციპალიტეტის საკრებულო*** - 41264 ლარი, კერძოდ, დაემატა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 13944 ლარი (8 ხელშეკრულება), საწვავის ხარჯის გაზრდა (7440 ლიტრი) 22320 ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯის გაზრდა 5000 ლარით;

2) ***მუნიციპალიტეტის მერია*** -133022 ლარი: კერძოდ, მერიის ადმინისტრაციული ხელშეკრულებებს დაემატა 9 ერთეული ანაზღაურებით 968 ლარი, წლიური 104544 ლარი; დაემატა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 24480 ლარი (15 ხელშეკრულება); 2 ერთეული ჭკვიანი პროექტორის შესყიდვა -3998 ლარი;

3) ***გზების შეკეთება*** - 1000000 ლარი: ა) მუნიციპალიტეტის ქ.საგარეჯოს და მისი სოფლების დაზიანებული ასფალტობეტონის გზების ორმოული შეკეთების სამუშაოები-400000 ლარი; ბ) მძიმე ტექნიკის გადამტანი მანქანის (ევაკუატორი) შესყიდვა - 600000 ლარი;

4) ***საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება*** - 100000 ლარი, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

5) ***ახალი გზების მშენებლობა*** 200000 ლარი, კერძოდ ინფრასტრუქტურის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება-200000 ლარი (მოხსენებითი ბარათი №03-522236327 29.12.2022წ).



6) ***სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია*** - 300000 ლარი, მათ შორის:

ა) სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება - 200000 ლარი

ბ) სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების შესყიდვა-100000 ლარი.

7) ***გარე განათების*** ახალი წერტილების მოწყობა - 100000 ლარი;

8) ***ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია*** - 200000 ლარი, ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია;

9) ***„სოფლის მხარდაჭერის" პროგრამა -*** თანადაფინანსება - 1336000 ლარი განკარგულებით გამოყოფილი თანხის 200%.

10) ***ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსთან*** დელეგირების ხელშეკრულების თანახმად 2023 წლის საწევრო გადასახადი გაიზარდა 51983 ათასი ლარის ოდენობით;

11) ***კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში*** - 400000 ლარი, ზაფხულის და ზამთრის აღჭურვილობით სპაეცტექნიკის შეძენა;

12) ***მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება*** - 928923 ლარი ა) ინფრასტრუქტურის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

ბ) ს. ***პატარძეულში*** გმირთა სავანის რეაბილიტაცია - 828923 ლარი;

13) ***ა(ა)იპ სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანება*** - 250248 ლარი დაემატა სუბსიდიას სკოლამდელი დაწესებულებათა თანამშრომლების სახელფასო განაკვეთზე 100 ლარის დასამატებლად.

14) ***სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია,*** მშენებლობა 250000 ლარი. მათ შორის: ა)ინფრასტრუქტურის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება

ბ) სკოლამდელი დაწესებულებების ეზოებში ***საბავშვო ატრაქციონების მოწყობა*** 150000 ლარი;

15) ***საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია*** - 400000 ლარი, მუნიციპალური ტრანსპორტის შეძენა;

16) ***ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება*** - 16500 ლარი დაემატა სუბსიდიას ს.უდაბნოში ქორეოგრაფის ხელფასი (7200 ლარი) და რ.ინანიშვილის სახლმუზეუმში დარაჯის და ექსკურსია-მძღოლის ხელფასი (9300ლარი).

17) ***სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა*** - 1250000 ლარი, მათ შორის: ა)ინფრასტრუქტურის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება -100000;

ბ) ***სპორტული ტრენაჟორების მოწყობა*** -150000 ლარი; გ) ქ.საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონის კეთილმოწყობა (განათება, სარბენი ბილიკების მოწყობა) -500000 ლარი;

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

გაგრძელება

ჭურვილი. მონაწილეები ბრენდირებული მაისურებითა და კეპებით დაასაჩუქრდნენ. ველოტურის შემდგომ, კულტურის სახლის მცირე დარბაზში ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო-შემეცნებითი პრეზენტაცია მოეწყო - „ მდგრადი ენერგეტიკა და კლიმატის ცვლილება“, ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელ პროექტების მიმოხილვა, რომელიც ენერგოეფექტურ კონსტრუქციების მოწყობას უკავშირდებოდა.

• საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განყოფილების ორგანიზებით, 9 ივნისს, კულტურის სახლის მცირე დარბაზში გაიმართა ***ტრენინგი - „მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულაციის შესახებ“.***

ტრენინგებზე განხილული იქნა ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ღვინის წარმოებასთან: სააგენტოს ძირითადი ფუნქციები და სამართლებრივი ჩარჩო; სააგენტოში ღვინის კომპანიის რეგისტრაცია; მევენახეობა და ვენახების კადასტრი; რთველის აღრიცხვა და ნაშთების წარმოება; არაყურძნისეული ალკოჰოლური სასმელების რეგულაცია; ხარისხის კონტროლი;

სერტიფიცირების ეტაპები, ლაბორატორია, ეტიკეტირება; სააგენტოს როლი მარკეტინგულ აქტივობებში.

• 4 ივნისს, სოფელ უდაბნოში, ჩიხხიტურის კოშკის მიმდებარედ გარეჯობის სახალხო დღესასწაული გაიმართა!

**ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო:**

საგამოფენო სივრცეები; საბავშვო-გასართობი და სახელოვნებო სივრცეები; ფოტოგამოფენა -გარეჯობის ისტორიები; ფოტოსტენდი; პანტომიმის მსახიობები - წარმოდგენა - „გარეჯულა“; მოძრაობის თეატრი; გიფერი და მემოგრამი; მოსასვენებელი სივრცეები; თემატური ინსტალაციები და დეკორაციები; კულინარიული შოუ და მასტერკლასები ცნობილი შეფმზარეულების მონაწილეობით (გადაცემა “მასტერ შეფის” სახეები); საჭიდაო სივრცე; ცხენოსანთა დოღი; ეთნო კუთხეები; ტრადიციული ქართული კერძების მასტერკლასები და ღვინის დეგუსტაცია;

• საგარეჯოს მასშტაბით, განხორციელდა **ფოტო ტური,** სადაც ცნობილი ფოტოგრაფის, ბადრი ვადაჭკორიას მიერ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ტურისტულად მიმზიდველი ადგილების ფოტოკოლაჟიი მომზადდა. პროფესიონალური ფოტოები განთავსდა სხვადასხვა ბლოგერების გვერდზე.

• მიმდინარეობს სოფელ პატარძეულში არსებული ***„გმირთა სავანის“*** პროექტის განხორციელდება და მოდერნიზებული, ახალი მოსასვენებელი სივრცე ნებისმიერი ვიზიტორისთვის ერთ-ერთ შთამბეჭდავ და დასამახსოვრებელ ადგილად იქცევა.

• მომზადდა კოდაზე განსათავსებელი კონსტრუქციის პროექტი - „მე მიყვარს საგარეჯო“- რომლის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა მიმდინარეობს.

• მიმდინარე წელს, სოციალურ სივრცეში ოფიციალური გვერდი-Tourism/sagarejo, საშუალებით მუდმივად თავსდება სიახლეები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ტურისტულ ობიექტებზე და ოფიციალური წყაროებიდან მიღებული საინფორმაციო მასალები ეკონომიკისა და ტურიზმის სფეროში მიმდინარე სიახლეების შესახებ.

• საგარეჯოს ტურისტული ლოკაციების შესახებ საინფორმაციო ვიდეორგოლები მომზადდა, ასევე, რამდენიმე ცენტრალურ არხზე გავიდა სიუჟეტი, რომელთა შესახებ ინფორმაციაც დატანილია https://www.facebook.com/profile.php?id=100069695442086 მითითებულ გვერდზე.

• 12 ოქტომბერს განყოფილების ორგანიზებით, ***ღვინის ფესტივალზე*** მოხდა ადგილობრივი მეღვინეების, შატოების, მარნებისა და ხელნაკეთი ნივთების მეწარმეების გამოფენა-გაყიდვა, რაც ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას და ცნობადობის გაზრდას.

• განყოფილების ორგანიზებით, მეტროპროდაქშენის მიერ მომზადდა საიმიჯო ვიდეო რგოლი ტურისტულად მნიშვნელოვანი ***ყურძნის მიკრო ზონებისა და დავით გარეჯის უდაბნოს პოპულარიზაციისთვის;***

• აქტიურად ხორციელდება ტურიზმის საკითხებზე ოფიციალურად შემოსულ წერილებზე შესაბამისი პასუხის მომზადება. პერიოდულად ხდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების შემოთავაზება და შესაბამისად უზრუნველვყოფთ დასწრებისათვის.

• მიმდინარე წელს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ინიციატივით, ქალაქ საგარეჯოში, ტურისტულად მნიშვნელოვან რამდენიმე ლოკაციაზე ***დასუფთავების აქცია*** გაიმართა, რაშიც ხელმძღვანელმა პირებმა მერიის თანამშრომლებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა.

• ტურისტულ ობიექტებზე, არსებული მდგომარეობებისა და გარემოებების შესწავლის მიზნით, ხორციელდება გეგმიური მონიტორინგი, რათა აღმოჩენილი ხარვეზები დროულად აღმოიფხვრას.

**იურიდიული სამსახურის ხაზით**

**2023** წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე, იურიდიულ სამსახურის წარმოებაშია 1340 კორესპონდენცია ( ამათგან, შემოსული სხვა უწყებიდან/ფიზიკური პირიდან - 154, შიდა დოკუმენტი -650, გასული წერილი- 194, ბრძანება -135, სამშენებლო - 30), რომელსაც მოყვა სათანადო რეაგირება.

• არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების რაოდენობამ შეადგინა 3 (სამი) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი;

• 2023 წელს, სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეებიის რაოდენობამ შეადგინა 85, რომელთაგან დღეის მდგომარეობით 78 საქმე მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო ერთი საქმე გასაჩივრებულია საკასაციო (მესამე ინსტანციის) სასამართლოში. 6 საქმესთან დაკავშირებით დასრულებულია საქმისწარმოება.

• 2023 წლის იანვრიდან დღემდე, იურიდიული სამსახურის მიერ გაცემულია საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ 78 ცნობა.

• საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ ჩატარებულია 4 სხდომა და გაცემულია 5 ცნობა მოქალაქის ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ.

• 2023 წლის განმავლობაში იურიდიული სამსახურის მიერ გამოცემულ იქნა 30 ბრძანება სამშენებლო სამართალდარღვევის შესახებ.

• 2023 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერაში გამოცხადდა ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსი 9 ვაკანტურ თანამდებობაზე (სულ 3 კონკურსი) კონკურსის წესით შეივსო 4 ვაკანტური თანამდებობა.

***საანგარიშო წლის განმავლობაში იურიდიული სამსახურის მიერ უზრუნველყოფილია:***

• მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობის პირების, თანამშრომლების იურიდიული კონსულტირება, სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

მადლობას მოგახსენებთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენის, თანამშრომლობისა და გაწეული რეკომენდაციებისთვის.

***ზედამხედველობის განყოფილების ხაზით***

**საგარეჯოს** ზედამხედველობის განყოფილების მიერ 2023 წლის განმავლობაში ზედამხედველობის სპეციალისტების მიერ რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე კონტროლი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ***დუზაგრამა, პატარძეული, ნინოწმინდა, მზისგული, პატარძეულში*** მოხდა წყალ-

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

### 27 ოქტომბერი 2023 წელი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი ბილაშვილის 2023 წლისწლიური ანგარიში:

გაგრძელება

დ) ორი მინი სტადიონის მოწყობა -300000 ლარი; ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სტადიონების მოვლა-პატრონობა - 200000 ლარი;

18) ***კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა-*** 24283 ლარი ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების სამხატვრო სკოლის ოთახების ჭერის შეცვლის,ფანჯრების ღიობებისა და საპირფარეშოს მოსაწყობად;

19) ***საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი*** -10500 ლარი დაემატა სუბსიდიას ცეჰეპატიტზე, აივ/შიდსზე და ტუბერკულოზზე ადრეული გამოვლენის ინტეგრირებული სკრინინგის მუნიციპალური პროგრამისთვის.

20) ***წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა*** - სუბსიდიას ხელფასის სახით დაემატა 5403 ლარი.

21) ***ახალგაზრდობის მხარდაჭერა*** -30000 ლარი (მოხსენებითი ბარათი №08-52230202 20.01.2023წ);

22) ***სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში-*** 50000 ლარი, აზერბაიჯანული სკოლების მასწავლებელთა ფინანსური წახალისება ლარი;

23) ***კულტურული ღონისძიებები*** - 30000 ლარი;

24) ***სპორტული ღონისძიებები*** - 10000 ლარი სპორტული ინვენტარის შეძენა

***სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 18945892,07 ლარი, სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთი 2629434,88 ლარი.***

**მეორე ცვლილება:**

**პროექტის** მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 1255070 ლარით, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზარდა 1255070 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 1255070 ლარით და შეადგინა 55790908 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №300 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებაში და ***2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 5464611 ლარის*** განაწილება შეიცვალა; კერძოდ, ქ.საგარეჯოში ერეკლე II-ის ქუჩის გაგრძელების რეაბილიტაციის (284985 ლარი), ქ. საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩის გაგრძელების რეაბილიტაციის (477064 ლარი) და ქ. საგარეჯოში ქართველ იუნკერთა ქუჩის რეაბილიტაციის (582976 ლარი) სამუშაოები აღარ განხორციელდება, რადგან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ მიმდინარე წელს გეგმავს ქ.საგარეჯოს გამყოფი მაგისტრალის სამხრეთ ნაწილში სასმელი წყლის ახალი ქსელის მოწყობა-გამრიცხველიანებას. ჯამური თანხით 1345025 ლარით დაფინანსდა სოფელ პატარძეულში ე.წ. „უსტიაანთ უბნის“ გზის მოასფალტების სამუშაოები (თანადაფინანსება 303643 ლარი).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებით ***2023 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 737507*** ლარი. კერძოდ დაფინანსდა:

***წყლის სისტემების რეაბილიტაცია*** 251153 ლარით - სოფელ უჯარმაში წყალმომარაგების სათავე კვანძის დრენაჟისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები;

***სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა*** - 486354 ლარით, კერძოდ სოფელ გომბორში მინი სტადიონის მოწყობა -162118 ლარი; სოფელ მარიამჯვარში მინი სტადიონის მოწყობა - 162118 ლარი; სოფელ უჯარმაში მინი სტადიონის მოწყობა-162118 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის №147 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განისაზღვრა მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი.

1) საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად;

2) მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, 460466.77 ლარით; გასული წლის დეკემბრის თვის მომსახურების შესაბამისად 57096.23 ლარი.

**მესამე ცვლილება:**

**პროექტის** მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 570000 ლარით, გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გაიზარდა 570000 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 570000 ლარით და შეადგენს 56360908 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის №545 განკარგულებით „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 570 000 ლარი. აღნიშნული თანხით მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის დასაფინანსებლად (საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები).

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ცვლილება მოხდა ქვეპროგრამებს შორის, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული პროექტი „ს.შიბლიანში ე.წ.”თუთუბიანის” გზის მოასფალტება“ შეჩერებული იყო, რადგან შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ გეგმავდა მუნიციპალიტეტის სოფლების 24 საათი წყალმომარაგების პროექტის განხორციელებას. ამის ნაცვლად ცვლილება შევიდა სოფელ შიბლიანში სკვერის მოსაწყობად საორიენტაციო ღირებულებით 221741 ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამატებით განლაგდა 275 ცალი საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერი, საჭირო გახდა კიდევ ერთი სპეცდანიშნულების მანქანის დაქირავება, დამატებით ერთი მძღოლი და 3 მუშა, წლის ბოლომდე ხარჯი შეადგენს 41140 ლარს. ასევე ორი საშტატო ერთეული დაემატა შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ს დამლაგებლის პოზიციაზე (სახელფასო განაკვეთი -484 ლარი) თანხით 9680 ლარი, სულ შპს „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“-ის სუბსიდიას დაემატა 50820 ლარი, ხსენებული თანხის გადატანაც მოხდება ზემოთ აღნიშნული პროექტიდან. საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზისთვის ტატამის ორი კომპლექტის შესაძენად 75520 ლარი გამოყოფა მოხდა ზემოთ აღნიშნული პროექტიდან.

სულ ახალი გზების მშენებლობის პროგრამა შემცირდა 348081 ლარით, 272561 გადავიდ დასუფთავება და გარემოს დაცვის პროგრამაში და 75520 ლარი დაემატა სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამას.

**მეოთხე ცვლილება:**

***ცვლილების მომზადება გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №787 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვ-***

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

<u>გაგრძელება</u>

საქაჩების რეაბილიტაცია.

სოფელ ***მანავში, ბურდიანში*** მოეწყო სკვერები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა საბავშო ბაღებსა და ეზოებს, შემოიღობა სოფლის სასაფლაოები, მოიხრეშა შიდა სასოფლო გზები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სანიაღვრე არხებს, სოფლებში მოასფალტდა და მოიხრეშა შიდა სასოფლო ქუჩები.

ქ.***საგარეჯოში*** ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო სკამები, ქალაქის ქუჩებზე მოეწყო ასფალტის საფარი, მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის ფასადებს და სახურავებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფლებში*** მოეწყო ახალი გარე განათების ბოძები

ზედამხედელობის განყოფილებაში შემოსულია კორესპონდეცია სამეზობლო დავებზე

ზედამხედველობის განყოფილების სპეციალიტების მიერ წლის განმავლობაში დაწერილია 44 მითითება ***უკანონოდ გამოვლენილ მშენებლობაზე,*** სამშენებლო სამართალდარღვევის გადახდილმა თანხამ შეადგინა 44106 ლარი.

აღრიცხულია დასუფთვების მოსაკრებლის გადამხდელი იურიდიული პირები.

ყოველთვიურად მოწმდება ფიზიკური პირების გადახდილი თანხები,გადახდილმა თანხამ (დღეის მდგომარეოით) შეადგინა 43061 ლარი

***ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 44 მშენებლობა დამთავრებული ობიექტი.***

***სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე გამოტანილია 30 ბრძანება.***

***განათლების,კულტურის,ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხაზით***

***ახალგაზრდული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები***

ბიუჯეტი - 195172 ლარი

• 2023 წლის განმავლობაში ტრანსპორტით მომსახურება სხვადასხვა ღონისძიებებისთვის - ბიუჯეტი: 19146 (ცხრამეტი ათას ას ორმოცდაექვსი) ლარი. დახარჯულია - 10 672, ასათვისებელია 8 474 ლარი;

• ***„მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშები“***

ა.(ა)ი.პ „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშების“ ერთობლივი თანამშრომლობით ტარდება აღნიშნული ღონისძიება; ამ დროისთვის (აპრილის თვეში) ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები და საგაზაფხულო ტური; თამაშებში მონაწილეობს მუნიციპალიტეტის 12 საჯარო სკოლის, მათ შორის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების ნაკრები გუნდი („დუზაგრამა“).

ბიუჯეტი: 40000 (ორმოცი ათასი) ლარი.

• ***მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება;***

**დაჯილდოვდნენ** სამართლის საერთაშორისო ფაკულტეტის სტუდენტი, ზ. გამსახურდიას სახელობის სტიპენდიანტი ***ზუკა მეკოკიშვილი,*** გაეროს საერთაშორისო ახალგაზრდული კონფერენციის სპიკერი - ***გიორგი უნაფქოშვილი*** და საქართველოს ჩემპიონატის ჭადრაკში მესამე ადგილის მფლობელი და კახეთის ათგზის ჩემპიონი ***ზუკა გამრეკელაშვილი.***

ბიუჯეტი: 1500 (ათას ხუთასი) ლარი

• 22 აპრილი - დედამიწის საერთაშორისო დღე - ***პროექტი „ჩემი ქალაქის მეეზოვე“*** - მადლობის სიგელები გადაეცათ ქალაქის დასუფთავებაზე მზრუნველ პერსონალს.

• წიგნის საერთაშორისო დღე - აქცია ***„აჩუქე წიგნი“***

23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საუკეთესო მკითხველ მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები და სიგელები, მათ შორის აზერბაიჯანულენოვანი სკოლის საუკეთესო მოსწავლეებს.

ბიუჯეტი: 2198,50 (ორი ათას ას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი

• მიმდინარე წლის აპრილში, ***იორმუღანლოს საჯარო სკოლის*** ეზოს გასამწვანებლად, ერთობლივი აქციით შევიძინეთ და გადავეცით სკოლას სხვადასხვა სახეობის ნერგები.

ბიუჯეტი: 805 (რვაას ხუთი) ლარი..

• 18 მაისი - ***ეროვნული სამოსის დღე*** სამსახურის და მუნიციპალიტეტში მოქმედი ქორეოგრაფიული ანსამბლების ერთობლივი ინიციატივით, აღინიშნა „ეროვნული სამოსის დღე“, პერფორმანსით, გამოფენით და საცეკვაო ნომრებით.

• 26 მაისი - ***დამოუკიდებლობის დღეს*** მოეწყო მსვლელობა სახელმწიფო დროშებით და პერფორმანსი საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე, თემატური გამოფენა და ფოტო-ჩარჩო.

• ***„რა? სად? როდის?“*** - სამუშაო გეგმის მიხედვით, ჩატარდა ინტელექტუალური თამაშის გაზაფხულის სესია, რომელშიც მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლის გუნდი.

ღონისძიების ბიუჯეტი: 9017,56 (ცხრა ათას ჩვიდმეტი ლარი 56 თეთრი) ლარი.

• ***„მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშები“*** -გაზაფხულის სესიაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 10 საჯარო სკოლა, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების გუნდი. ღონისძიება ჩატარდა რამდენიმე ეტაპად, მოსამზადებელი, პირველი და მეორე ტური, ნახევარფინალი და ფინალი.

ღონისძიების ბიუჯეტი: 40000 (ორმოცი ათასი) ლარი.

• ***ლიტერატურული კონკურსი „ნატვრის ხე“*** ; მიმდინარე წლის 23 ივნისს დაჯილდოვდნენ ლიტერატურული კონკურსის საუკეთესო ნამუშევრების ავტორები; ნამუშევრები შეამოწმა მერის ბრძანებით დამტკიცებულმა კომისიამ ***(რომან ზუკაკიშვილი, ლია შენგელიძე, მარინა შანიძე)*** სამი საუკეთესო ნამუშევრის ავტორს გადაეცა ფულადი ჯილდო, სიგელი და წიგნი:

I ადგილი - ***დავით ღვინიაშვილი*** (500 ლარი);

II ადგილი - ***კესო მანჩხაშვილი*** (300 ლარი);

III ადგილი - ***ელენე თამაზაშვილი*** (200 ლარი);

• ***ფერწერის კონკურსი*** - გააცოცხლე ნატვრის ხის პერსონაჟები“; მიმდინარე წლის 23 ივნისს დაჯილდოვდნენ ფერწერის კონკურსის გამარჯვებული ავტორები და ნომინანტები. ნამუშევრები შეაფასა მერის ბრძანებით დამტკიცებულმა კომისიამ ***(თამარ იორამაშვილი, თეა ბუზარიაშვილი, სანდრო გაგნიაშვილი)*** გამარჯვებულ ავტორებს და ნომინანტებს გადაეცათ ფულადი ჯილდო, სიგელი და სახატავი საშუალებების ნაკრები.

ჯილდო - 2800 (ორი ათას რვაასი) ლარი.

სახატავი საშუალებები - 762 (შვიდას სამოცდაორი) ლარი.

• I ადგილი - ***მარი თავართქილაძე*** (პატარძეულის საჯარო სკოლა) – 500 ლარი;

• II ადგილი - ***ანასტასია თამაზაშვილი*** (პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა) 300 ლარი;

• III ადგილი - ***სოფო მნათობიშვილი*** (პატარძეულის საჯარო სკოლა) 200 ლარი;

• ნომინაცია „ფერადოვანი გადაწყვეტა“ - ***ანა ცხვარიაშვილი*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „კადრი ფილმიდან“ - ანანო ლოლაძე - 150 ლარი;

• ნომინაცია „სიურეალისტური ნახატი“ - ***ნიკოლოზ ნანუაშვილი*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „კადრი ფილმიდან“ ***ნანა არჩუაძე*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „ჩემი თვალით დანახული მარიტა“ - ***ნანიკო კოხტაშვილი*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „"აკადემიური ნამუშევარი“ - ***ქეთევან მეკოშკიშვილი*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „საუკეთესო ხედვა“ - ***თეკლა ვარაზაშვილი*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „თანამედროვე ფუფალა“ - ***თინათინ ზუკაკიშვილი*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „შემოქმედებითი ნახატი“ - ***ნინო ჯიღაური*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „კადრი ფილმიდან“ - ***ანასტასია გილაშვილი*** - 150 ლარი;

• ნომინაცია „საუკეთესო პორტრეტი“ - ***თიკა ბარიხაშვილი*** - 150 ლარი;

*<u>გაგრძელება მე-5 გვერდზე</u>*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

### 27 ოქტომბერი 2023 წელი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გილაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

<u>გაგრძელება</u>

***ლის №301 განკარგულებით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა.***

**პროექტის** მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 7205048 ლარით, შემოსავლები სახ.ბიუჯეტით შემცირდა 58121 ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით შემცირდა 58121 ლარით. საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე არაფინანსური აქტივების კლებით შემოსულობები გაიზარდა 7263169 ლარით, გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გაიზარდა 7263169 ლარით, ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 7205048 ლარით და შეადგინა 63565956 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის №787 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებაში და 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილი იყო 9022 ლარი. კერძოდ, ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხების ხარჯზე დაფინანსდა ორი ახალი ობიექტი 9022 ლარის დამატებით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებით 2023 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 737507 ლარი შემცირდა ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხით 67143 ლარით. კერძოდ

***სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა -*** სოფელ გომბორში მინი სტადიონის მოწყობა - 6599 ლარით; სოფელ მარიამჯვარში მინი სტადიონის მოწყობა - 31493 ლარით; სოფელ უჯარმაში მინი სტადიონის მოწყობა-29051 ლარი.

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე არაფინანსური აქტივების კლებიდან მ/წელს დამატებით მიღებულია 7263169 ლარი. (შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე 7263169,34 ლარი, 26.06.2023წ).

***ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დამატებით მიღებული შემოსულობებიდან დაფინანსდა:***

1. ***ა(ა)იპ სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების*** სუბსიდიას დაემატა 500000 ლარი სახელფასო განაკვეთების გაზრდის მიზნით (წერილი 58-522231938 12,07,2023);,

2. ***სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა, რეაბილიტაცია*** - ორი ახალი საბავშვო ბაღის აღჭურვილობა თავისი ხარჯებით 240000 ლარი (ერთი ბაღის 120000ლარი);

3. ***სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამას*** დაემატა - 62500 ლარი;

4. ***კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამას*** დაემატა - 97269 ლარი;

5. ***ახალგაზრდობის მხარდაჭრის ქვეპროგრამას*** დაემატა - 65000 ლარი;

6. ***შპს სუფთა მუნიციპალიტეტი 2018-ის*** სუბსიდიას დაემატა 500000 ლარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამტანი ექვსი ერთეული მანქანის ფუნქციონირებისთვის მ/წელს);

7. ***კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში*** - დაემატა 391997ლარი კომბინირებული სპეცტექნიკის შესაძენად (ბიუჯეტში გათვალისწინებულია 400000 ლარი);

8. ***კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა*** - საქონელი და მომსახურების მუხლს დაემატა 30000 ლარი ტურიზმის სფეროს განვითარებისთვის;

9. ***ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ვეფხვების“*** სუბსიდიას დაემატა -35000 ლარი;

10. ***ინფრასტრუქტურის შემდეგ პროგრამებზე*** 5341403 ლარი;

**მეხუთე ცვლილება:** ***დადგენილების პროექტის მომზადება გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1530 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1529 განკარგულებით და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 აგვისტოს №1551 განკარგულებით.***

**პროექტის** მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 1462131 ლარით, შემოსავლები სახ. ბიუჯეტით გაიზარდა 1462131 ლარით, გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით გაიზარდა 1462131 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 1462131 ლარით და შეადგინა 65028087 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1530 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2475 განკარგულებაში და 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოეყო 1098227 ლარი. კერძოდ, ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხებით 51771 ლარით შემცირდა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კახეთის გზატკეცილი№13-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის*** ფასადისა და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კახეთის გზატკეცილი№15-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება. დამატებით დაფინანსდა სამი ახალი ობიექტი:

ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***ბადიაურში*** კაკლების უბანში საავტომობილო გზის მოასფალტება-522500 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულება მ/წელს 550000 ლარია; თანადაფინანსება 27500 ლარი გათვალისწინებული იყო ადგილობრივ ბიუჯეტში;

ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***მანავში*** მე-7 და მე-10 ქუჩების რეაბილიტაცია -373010 ლარი, პროექტის მთლოიანი ღირებულება 392643 ლარია; თანადაფინანსება 19633 ლარი გათვალისწინებული იყო ადგილობრივ ბიუჯეტში;

გ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ***თოხლიაურში*** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან მისასვლელი გზის მოასფალტება - 254488 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულება 267883 ლარია; თანადაფინანსება 13395 ლარი გათვალისწინებული იყო ადგილობრივ ბიუჯეტში; (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გამოთავისუფლდა 776988 ლარი).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 22 აგვისტოს №1529 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის №301 განკარგულებაში და 2023 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხა 737507 ლარი კიდევ შემცირდა ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხით 6096 ლარით. კერძოდ

***სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია*** - სოფელ უჯარმაში წყალმომარაგების სათავე კვანძის დრენაჟისა და მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები-5700 ლარით;

***სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა*** - სოფელ მარიამჯვარში მინი სტადიონის მოწყობა - 396 ლარით;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 აგვისტოს №1551 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში და მუნიციპალიტეტისთვის სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი იყო 370000 ლარი, რომელიც აისახა ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის სხვა ხარჯების კაპიტალური ტრანსფერის მუხლში.

***პერიოდულად, საკრებულო ახორციელებდა ზედამხედველობას მუნიცი-***

*<u>გაგრძელება მე-5 გვერდზე</u>*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

**გაგრძელება**

• ნომინაცია „თანამედროვე ფუფალა“ - ***ლიზი ტაპატაძე*** - 150 ლარი;

• გასართობ-შემეცნებითი თამაში „***ქალაქობანა***“ - ერთობლივი გაცვლითი პროექტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და გორის მუნიციპალიტეტს შორის, შერეული გუნდების მონაწილეობით. I ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა ფულადი ***ჯილდო 1000*** (ათასი) ლარის ოდენობით, II ადგილზე გასულ გუნდს - ***700 (შვიდასი) ლარის*** ოდენობით, ხოლო III ადგილზე გასულ გუნდს - ***500 (ხუთასი)*** ლარის ოდენობით. პროექტის ფარგლებში, მონაწილეებმა მოინახულეს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი.

ბიუჯეტი: ჯილდო - 2200 (ორი ათას ორასი) ლარი.

ექსკურსიის ტრანსპორტირება: 416 (ოთხას თექვსმეტი) ლარი.

თამაშის მეორე ეტაპი ჩატარდა ქ. გორში. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებმა მოინახულეს უფლისციხის სამონასტრო კომპლექსი.

ტრანსპორტირების ხარჯი ქ. საგარეჯო - ქ. გორი - ქ. საგარეჯო - 600 (ექვსასი) ლარი

• ***ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის“*** - მეორე სეზონი, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის.

I ადგილი - ქ. საგარეჯოს №1 საჯარო სკოლა

II ადგილი - ქ. საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა

III ადგილი - ქ. საგარეჯოს №4 საჯარო სკოლა

***პირველ*** ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა ბროლის ბუ, სიგელები და ბლუთუზყურსასმენები

***მეორე*** ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა სიგელები და სმარტ-საათები

***მესამე*** ადგილზე გასულ გუნდს გადაეცა სიგელები და ბლუთუზ-დინამიკები

საუკეთესო მოაზროვნეები დაჯილდოვდნენ წიგნებით.

• ***ა.(ა).ი.პ „ახალგაზრდული მედია-კავშირის***“ ინიციატივით და მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დაფინანსებით, ჩატარდა ***ბანაკი დაბა ურეკში,*** მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომის ვეტერანების და მათი ჯგუფის ხელმძღვანელის მონაწილეობით.

ბიუჯეტი: 4960 (ოთხი ათას ცხრაას სამოცი) ლარი.

• ა.(ა).ი.პ ***„დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“*** ინიციატივით და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანადაფინანსებით, ჩატარდა ***ბანაკი მარტვილის*** მუნიციპალიტეტში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობდა 12 ახალგაზრდა.

ღონისძიების ბიუჯეტი: 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი.

• პროექტი ***„წიგნის ბუდეები“*** - „წიგნის ბუდეების“ განთავსება საგარეჯოს კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, საგარეჯოს ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში და ***სოფლებში: გიორგიწმინდა, უდაბნო, იორმუღანლო,*** წიგნიერების ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით, ალჭურვილი წიგნადი ფონდით.

ღონისძიების ბიუჯეტი: 3750 (სამი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი.

• ***სოციალურად დაუცველი,*** მრავალშვილიანი, ამავე დროს შემწეობის მიმღები (65000 ქულამდე) ოჯახების წარმომადგენელ პირველკლასელ ბავშვებს გადაეცათ სასკოლო ინვენტარი.

ღონისძიების ბიუჯეტი: 3000 (სამი ათასი) ლარი.

• გრანტოსან პირველკურსელთა დაჯილდოება - საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ ***67 წარმატებულ გრანტოსან პირველკურსელს*** გადაეცა ფულადი ჯილდო; მათთან შეხვედრაზე ჩატარდა ლექცია/სემინარი და კონცერტი; ყველა მონაწილეს საჩუქრად გადაეცა ბრენდირებული საკანცელარიო ნივთები.

ღონისძიების ბიუჯეტი - 36900 (ოცდათექვსმეტი ათას ცხრაასი ლარი)

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**27 ოქტომბერი 2023 წელი**

• განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის და შ.პ.ს „სქილვილ“-ის (SKILWILL) ერთობლივი თანამშრომლობით, დაფინანსდა 6 ახალგაზრდის სხვადასხვა სასწავლო კურსებში მონაწილეობის საფასური. ახალგაზრდები არიან მერიის ახალგაზრდული კომიტეტის წევრები.

ღონისძიების ბიუჯეტი - 3594 (სამი ათას ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი.

• სამსახურის ინიციატივით, გარემოსდაცვითი ღონისძიებების ფარგლებში, შეძენილ იქნა სხვადასხვა სახეობის ნერგები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ***(საგარეჯოს 3, კაკაბეთის და გიორგიწმინდის)*** გამწვანებისთვის.

ბიუჯეტი - 4238 (ოთხი ათას ორას ოცდათვრამეტი) ლარი.

***განათლების კუთხით***

**ბიუჯეტი**: 40 000 ლარი (წლის განმავლობაში დაემატა 50000 ლარი)

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტში 2023 წლის დასაწყისიდან ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის 29 დაწესებულება. 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით რეგისტრირებული 1353 აღსაზრდელი. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის რეგისტრირებული იყო 1360 აღსაზრდელი. სკოლამდელ დაწესებულებებში 63 სასწავლო ჯგუფია, 62 -აღმზრდელ-პედაგოგი, 2- აღმზრდელი და 63- აღმზრდელის თანაშემწე.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ეთნიკური უმცირესობებისათვის ***სოფ. დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება (მენეჯერი: საიდა ალიევა)***. 2023 წლის იანვარში სკოლამდელ დაწესებულებაში ირიცხებოდა 32 აღსაზრდელი. 2023-2024 წლის სასწავლო წლის დასაწყისიდან სკოლამდელ დაწესებულებაში 35 აღსაზრდელია. სწავლება ***დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში***, სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარეობს ქართულად. დუზაგრამის სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია სულ 9 თანამშრომელი. მათ შორის 2 (მეეზოვე და ჭურჭლის მრეცხავი) სოციალურად დაუცველი პირები არიან.

***სოფელ გომბორის*** სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი: თამარ ნეკრესელაშვილი) 12 აზერბაიჯანელი აღსაზრდელია, ***სოფელ ბადიაურის*** (მენეჯერი: ირმა ჩალათაშვილი) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში კი 15 ეთნიკური აზერბაიჯანელი აღსაზრდელი ირიცხება.

***სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები მუშაობენ უახლესი სასწავლო პროგრამებით და მეთოდური სახელმძღვანელოებით. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ გადასცა მიმდინარე წელს სკოლამდელ დაწესებულებებს უახლესი სასწავლო სააღმზრდელო პროგრამები და მეთოდური სახელმძღვანელოები.***

***პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებულ საბავშვო ბაღების მენეჯერები და აღმზრდელები გადიან სათანადო ტრენინგებს. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების 62-მა აღმზრდელმა გაიარა „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“, რის საფუძველზეც მიენიჭათ აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი.***

მიმდინარე 2023 წელს, ჩაუტარდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფ. ***დიდი ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას, აშენდა სოფ. კაკაბეთის 1 სკოლამდელი დაწესებულების ახალი შენობა, სოფ. უდაბნოს სკოლამდელ დაწესებულებაში ჩატარდა საქვაბის მოწყობის სამუშაოები.***

სოფ. ***იორმუღანლოში*** შპს „სოკარ ჯორჯიასა“ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ერთობლივი პროექტით ***დაიწყო ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.*** ადაპტირებული სააღმზრდელო დაწესებულება 160 ბავშვზეა გათვლილი.

სოფ. ***ლამბალოში შენდება საბავშვო ბაღის ახალი შენობა,*** მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ (სააღმზრდელო

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გილაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

**გაგრძელება**

***პალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიან და დროულ შესრულებაზე, იდენტიფიცირებულია პრობლემები და გაცემულია რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.***

მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში 2023 წლის 24 თებერვალს მიღებულია №3 დადგენილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“ აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა ქ.საგარეჯოს ტერიტორიის ზონირება და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

მერის ინიციატივით დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

**მოსახლეობასთან შეხვედრები:** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები, საკრებულოს წევრები, რეგულარულად ვაწყობდით შეხვედრებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობასთან, სოფლებში არსებული პრობლემების შესასწავლად.

**სოფელი ვერხვიანი**

1. სასაფლაოს გზის მოასფალტება (250 მეტრი)
2. სკვერის მოწყობა
3. სანიაღვრე არხების ჩაწყობა

**სოფელი კაკაბეთი**

1. კუპატაძეების უბანში სკვერის მოწყობა.
2. პირველი საბავშვო ბაღის გვერდით მინი სტადიონის რეაბილიტაცია.
3. სკოლის გზის მოასფალტება (2500მეტრი).
4. კუპატაძეების უბანში გზის მოასფალტება (2100მეტრი).
5. ქვლივიძეების უბნის გზის მოასფალტება (400მეტრი).
6. სამების ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტება(600მეტრი).
7. კუპატაძეების უბანსა და №1 ბაღის გვერდით ტრენაჟორების მოწყობა.

**სოფელი გიორგიწმინდა**

1. გიორგიწმინდის ცენტრში სკვერის მოწყობა.
2. გიორგიწმინდის ცენტრში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია.
3. სპორტული დარბაზის მშენებლობა.
4. „ბარამაშვილების“ და „აკაკუნიაანთ“უბნებში ასფალტის პროექტის შეძენა.
5. სოფ.ანთოკსა და მარიამჯვარში გაზიფიცირება.
6. ქვემოს სამგორის დასახლებაში ატრაქციონების შეძენა.

**სოფელი თოხლიაური**

1. სოფლის შიდა გზების მოასფალტება-მოწესრიგება.
2. ე.წ.“გაღმა უბნის“ცენტრალური გზის მოასფალტება და სოფელში გარე განათების დასრულება.
3. სკოლაში ვიდრე დაიწყება სარემონტო სამუშაო,იქნებ მოხდეს და გაკეთდეს მიშენება სკოლის შენობაზე, დაბლა სართულზე სპორტული დარბაზი და მეორე სართულზე განთავსდეს ორი საკლასო ოთახი (სულ პრობლემაა მე-2 კლასი შეკედლებულია ბაღის შენობაში).
4. ელექტრო ბოძების შეცვლა (სადენებს უჭირავს ბევრი მათგანი).
5. მინი სკვერი სოფლის ქვედა ნაწილში.
6. სპორტული დარბაზი (არ არსებობს სოფელში).
7. მიწები სასახლკარედ გაცემული. (არასასოფლოში რომ არის გადაყვანილი)

**სოფელი მანავი**

1. კორპუსებში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა (პროექტი არის).
2. კორპუსების ეზოს მოასფალტება(350მეტრი).
3. საწყობის უბანში სკვერის, სტადიონის და სავარჯიშო კომპლექტის მოწყობა.
4. საწყობის უბანში 27 და 27-I შესასვლელის მოასფალტება (750მეტრი)2025 წ
5. სასაფლაოს გზის მოასფალტება(პროექტი არის)
6. ბურდიანის გზის მოასფალტება(17-18 ქუჩებში 1000 მეტრი)
7. სოფლის ხევების გაწმენდა.
8. ზემო მანავში სკვერის და სავარჯიშო კომპლექტის გაკეთება(2025)
9. ქვემო მანავის მე-5 ქუჩის მოასფალტება(850 მეტრი)2025წ

**სოფელი ხაშმი**

1. წყლის დაქსელვა.
2. აჭარლების მინისტადიონის მშენებლობა.
3. სპორტდარბაზი.
4. ტრენაჟორები.

**სოფელი ბადიაური**

1. შიდა გზების მოასფალტება.

**დიდი ჩაილური**

1. სასაფლაოს გზის მოასფალტება.
2. სპორტდარბაზი.
3. სანიაღვრე არხი 400მ.

**დუზაგრამა**

1. ცენტრალური გზის მოასფალტება.
2. საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

**იორმუღანლო**

1. ბადიაურიდან შესასვლელი ცენტრალური გზის მოასფალტება.
2. ხიდის რეაბილიტაცია.

**მზისგული**

1. სპორტ დარბაზი.
2. ბაღთან მისასვლელი გზის მოასფალტება.

**სოფელი ნინოწმინდა**

1. მე-11- და მე12 გზის მოასფალტება

**სოფელი პატარძეული**

1. სასაფლაოსთან მისასვლელი გზების მოასფალტება.
2. ღვთისმშობლის ეკლესიის შემოღობვა.

**სოფელი უდაბნო**

1. შიდა გზების მოასფალტება.
2. კანალიზაცია არ არის დასრულებული

**სოფელი უჯარმა**

1. წყლის დაქსელვა.
2. სპორტული დარბაზი.
3. ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტება.

**სოფელი გომბორი**

1. წყლის დაქსელვა.
2. შიდა ორი გზის მოასფალტება.
3. რუსიანი და ვაშლიანი -გაზის შეყვანა.

**სოფელი ყანდაურა**

1. სასაფლაოსთან მისასვლელი გზა.
2. ბაღთან მისასვლელი გზის მოასფალტება.

**სოფელი ხაშმი**

1. წყლის დაქსელვა.
2. აჭარლებში მინისტადიონის მშენებლობა.
3. სპორტული დარბაზი.
4. ტრენაჟორები.

**სოფელი ლამბალო**

1. სოფლის გზების მოხრეშვა.
2. საბავშვო ბაღი არ არის.

აღნიშნული პრობლემები შემდგომში რეაგირებისთვის გადაგზავნილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში

***მოხსენების დასასრულ, დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა – ალექსი გილაშვილმა.***

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

## გაგრძელება

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

### 27 ოქტომბერი 2023 წელი

დაწესებულება გათვლილია 150 ბავშვზე). მშენებლობა 2024 წლისთვის დასრულდება.

***მუნიციპალიტეტში 26 საჯარო სკოლაა.*** მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 2023 წლის იანვრის თვეში იყო 8374, პედაგოგთა რაოდენობა კი- 826.

***2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა რაოდენობა იყო 7921, მასწავლებელთა რაოდენობა-758.***

***ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში 4 საჯარო სკოლაა.***

2022- 2023 სასწავლო წელი

1.***დუზაგრამის*** საჯარო სკოლა (დირექტორი:კიას აბუზაროვი)-475 მოსწავლე, 25 მასწავლებელი;

2.***იორმუღანლოს*** საჯარო სკოლა (დირექტორი: რიზვან უსუფოვი)-1573 მოსწავლე, 97 მასწავლებელი;

3.***ლამბალოს*** საჯარო სკოლა (დირექტორი: მამედ მამედოვი) -1312 მოსწავლე, 94 მასწავლებელი;

***4.მუღანლოს საჯარო სკოლა*** (დირექტორი: სარხან ხუბანოვი)-260 მოსწავლე, 24 მასწავლებელი.

***2023-2024 სასწავლო წელი***

1.დუზაგრამის საჯარო სკოლა (დირექტორი:კიას აბუზაროვი)-481 მოსწავლე, 25 მასწავლებელი;

2.იორმუღანლოს საჯარო სკოლა (დირექტორი:რიზვან უსუფოვი)-1538 მოსწავლე, 103 მასწავლებელი;

3.ლამბალოს საჯარო სკოლა (დირექტორი: მამედ მამედოვი) -1337 მოსწავლე, 80 მასწავლეებელი;

4.მუღანლოს საჯარო სკოლა (დირექტორი: სარხან ხუბანოვი)-269 მოსწავლე, 23 მასწავლებელი.

2023 წლის იანვრიდან ასევე ხორციელდება სხვადასხვა სახის საქმიანობას:

. სკოლის მოსწავლეებისათვის დაფინანსებით უზრუნველვყოფთ საქართველოს ეროვნულ ინტელექტ–ჩემპიონატ „ეტალონში" მონაწილეობას (კონკურსის უზრუნველყოფა 3980 ლარი) და კონკურსში გამარჯვებული მოსწავლისათვის სტიპენდიის დანიშვნას ერთი წლის განმავლობაში.

2023 წლის 1 სექტემბრამდე ქ. საგარეჯოს ნუგზარ ჭანტურიას სახელობის 2 საჯარო სკოლის მოსწავლე გიგი ივანელაშვილი იღებდა სტიპენდიას (სტიპენდია გაიცემოდა ყოველკვარტალურად, თვეში 150ლ. სულ: 1800 ლარი).

. 2022-2023 სასწავლო წელს მუნიციპალიტეტში ***66 მოსწავლემ*** დაამთავრა სკოლა ***ოქროსა და ვერცხლის*** მედალზე (51 ოქროს, 15 ვერცხლის). წახალისების მიზნით ოქროს მედალოსნებს გადაეცათ საჩუქრად: 1.ფულადი თანხა (თითოეულ ოქროს მედალოსანს 500 (ხუთასი) ლარი, ვერცხლის მედალოსანს 400 (ოთხასი) ლარი, სულ: 31 500 ლ). 2. მედალოსნებს ქ. თელავში რეგიონული დაჯილდოებისთვის გადაეცათ მანტიები (58 ლარი ერთეულის ფასი), სულ: 3 8288 ლარი ( სამი ათას რვაას ოთხმოცდარვა ლარი).

5 ოქტომბერს, მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დასაჩუქრდნენ სკოლიდან გასული, ღვაწლმოსილი ***პენსიონერი მასწავლებლები და საბავშვო ბაღის აღმზრდელები*** (სულ: 28 ადამიანი). მათ ჩაერიცხათ თანხა (300 ლ. თითოეულს, სულ: 8 400 ლ).

. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, 4 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელს ***ნანა დავითაშვილს*** მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისგან. მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცა სიგელი და ფულადი ჯილდო 500 (ხუთასი) ლარი.

**კულტურული ღონისძიებები ხაზით**

2 აპრილს, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ჩატარდა „ზღაპრის კითხვის დღე". ბავშვებს ზღაპრები წაუკითხეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, სახალხო თეატრის მსახიობებმა და მოწვეულმა სტუმრებმა;

ა.(ა).ი.პ „დემოსმა"ქართული სიმღერის რიგით VII კონკურს-ფესტივალის „სხვა საქართველო სად არის" ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, აპრილი - მაისის თვეში ჩაატარა ფესტივალის დებულებით გათვალისწინებული მასტერკლასი და საკონკურსო მოსმენა - შერჩევა.

საგარეჯოს სახალხო თეატრის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის ფულადი ჯილდო 900 ლარი გადაეცა ***ნანული ბილანიშვილს.***

აპრილში ჩატარდა ***კალიგრაფიის კონკურსი*** სკოლის მოსწავლეთათვის, რომლის საპრიზო ფონდი შეადგენდა 2 000 ლარს.

6 მაისს, „***გიორგობის***" სახალხო-რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით, სოფელ გიორგიწმინდაში, მოსახლეობის თხოვნით, გაიმართა პაატა გულიაშვილისა და ანსამბლ „ქსოვრელების" კონცერტი,

20 იანვარსა და 9 აპრილს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, ქართველ და ეთნიკური უმცირესობების წარამომადგენელ მოსახლეობასთან ერთად, ყვავილებით შეამკეს ***სოფელ იორმუღანლოში*** არსებული თბილისის 1989 წლის 9 აპრილისა და ბაქოს 1990 წლის 20 იანვრის, ორი ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლთა ხსოვნის მემორიალი. სულ: 100 მონაწილე;

21 მარტს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და ადგილობრივი მოსწავლეების და მოსახლეობის მონაწილეობით, სოფელ ლამბალოში აღინიშნა ეთნიკური უმცირესობის დღესასწაული ***ნოვრუზ ბაირამი***. საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი და მისი ბიუროს წევრები.

20 აპრილს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოში, აზერბაიჯანულენოვანი ***მოსახლეობის რელიგიურ დღესასწაულ „რამაზანთან"*** დაკავშირებით გაიმართა სახალხო შეკრება და საზეიმო ვახშამი, სულ: 200 მონაწილე;

სახალხო დღესასწაული „გარეჯობა", ბიუჯეტი: 131 301 ლარი;

24 მაისს, საგარეჯოს საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ცნობილი პოეტის თეიმურაზ ჯანგულაშვილის დაბადებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და მოეწყო მისი შვილის, მხატვარ ნინო ჯანგულაშვილის ნამუშევრების გამოფენა, რომლის დაბადების დღეც იყო ამავე დღეს. ამ დღის აღსანიშნავად ნინო ჯანგულაშვილს გადაეცა ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით.

13 ივნისს, ქ. საგარეჯოს 4 საჯარო სკოლაში ჩატარდა ***თეატრალური ფესტივალი***, რომელშიც მონაწილეობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 10 სკოლა, წარმოდგენილი იყო 15 ნომერი.

10 ივნისს, რევაზ ინანიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში – 3600 ლარის ოდენობით.

27 ივლისს, არამატერიალური და მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით, ***უჯარმის მუზეუმ - ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე*** ჩატარდა ფოლკლორული ანსამბლის „ჩვენებურები" კონცერტი. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ მთის ზონის (კოჭბანი, გომბორი) სახალხო მთქმელები, ფრანგი მომღერლების გუნდი „სამშაბათი" და მუსიკალური სტუდიის „მირელა", მომღერლები.

ვოკალური სტუდიების „კამერტონი" და „მირელა," ასევე საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული თოჯინების თეატრის ბავშვთა ექსპერიმენტალური ჯგუფის მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს, ***ხელოვნების სფეროში მიღწეული წარმატებებისთვის*** გადაეცათ წამახალისებელი ფულადი ჯილდო, მთლიანობაში 4900 ლარის ოდენობით.

22 აგვისტო - საგარეჯოს კულტურის სახლის მცირე დარბაზში ჩატარდა თინათინ მეზვრიშვილის დაბადებიდან 70 და სასცენო მოღვაწეობის 55 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

***2023-2024 სასწავლო წლის*** დაწყებასთან დაკავშირებით, 18 სექტემბერს, ქ. საგარეჯოს კულტურის სახლის დიდ დარბაზში, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისა და საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ნოდარ დუმბაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „ურჩხული და ლამაზმანი."

20 სექტემბერს, სოფელ მზისგულში, სოფლის ***სახალხო დღესასწაულ „მზისგულობის"*** აღსანიშნავად, მოსახლეობის კოლექტიური განცხადების საფუძველზე, ჩატარდა კონცერტი მომღერალ სოფო ბედიასა და ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლის მონაწილეობით.

***სპორტი***

42 800 ლარი (წლის განმავლობაში დაემატა 100 000 ლარი)

1. საგარეჯოს ცენტრალური სტადიონისთვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტების კარის შეძენა, თანხა -7868,24 (შვიდი ათას რვაას სამოცდარვა ლარი და 24 თეთრი)

2. ინვენტარის შეძენა ფრენბურთის ტურნირისთვის ორგანიზაციებს შორის - 1240 (ერთი ათას ორას ორმოცი) ლარი,

3. ტრანსპორტირება სპორტულ ღონისძიებებზე: 16240 (თექვსმეტი ათას ორას ორმოცი) ლარი (ასათვისებელია წლის ბოლომდე 3000 ლარამდე);

4. სპორტსმენის დ.კევლიშვილის მწვრთნელის ბადრი ბასილაშვილის თანადაფინანსება ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატზე (კადეტები) ძიუდოში, ხორვატიაში. 3127.00

5. კახეთის ქართული ჭიდაობის ფედერაციას - 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

6. ინვენტარის შეძენა მაგიდის ჩოგბურთის ჩემპიონატისთვის - 320 ლარი (სამას ოცი) ლარი.

7. შშმ პირებისთვის ბოჩას ინვენტარის შეძენა 3,080 (სამი ათას ოთხმოცი) ლარი.

8. თანხის ჩარიცხვა ფრენბურთის ტურნირში გამარჯვებული გუნდებისათვის: 2200 (ორი ათას ორასი) ლარი.

9. თანხის ჩარიცხვა მაგიდის ჩოგბურთის მუნიციპალურ ტურნირში გამარჯვებულ პირებს - 1000 (ერთი ათასი) ლარი

10. წარმატებული (2022 წლის) სპორტსმენების და მწვრთნელების ჯილდო, ააიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების წარდგინებით: 18090 (თვრამეტი ათას ოთხმოცდაათი) ლარი.

11. სპორტსმენ **გიორგი ქევლიშვილის** თანადაფინანსება რიგაში, ევროპის პირველობაზე მასრესლინგში - 1620 (ერთი ათას ექვსას ოცი) ლარი.

12. შშმ პირების ბოჩას გუნდისთვის მაისურების შეძენა - 200 (ორასი) ლარი.

13. ჭადრაკის დაფის შეძენა დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ბავშვთა ჭადრაკის წრისთვის: 183 (ას ოთხმოცდასამი) ლარი.

14. სპორტული ინვენტარის შეძენა კრივის სექციისთვის - 3000 (სამი ათასი) ლარი.

15. სოფელ გიორგიწმინდის „გიორგობის" სახალხო-რელიგიური დღესასწაულის ქართული ჭიდაობის ტურნირისთვის ცოცხალი პრიზის „ჭედილის" შეძენა - 500 (ხუთასი) ლარი.

16. სოფელ მანავის „კალობნობის" სახალხო-რელიგიური დღესასწაულის ქართული ჭიდაობის ტურნირისთვის ცოცხალი პრიზის „ჭედილის" შეძენა - 500 (ხუთასი) ლარი.

17. წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების ჯილდო, ააიპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების წარდგინებით - 15 070 (თხუთმეტი ათას სამოცდაათი) ლარი.

18. საგარეჯოს მკლავჭიდის გუნდის თანადაფინანსება ევროპის ჩემპიონატზე 28,295.88 (ოცდარვა ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 88 თეთრი) ლარი.

19. საგარეჯოს მკლავჭიდის გუნდის დაფინანსება მსოფლიო ჩემპიონატზე-34615,60 (ოცდათოთხმეტი ათას ექვსას თხუთმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარი;

20. „გარეჯობის" სახალხო დღესასწაულის ქართული ჭიდაობის ტურნირისთვის ცოცხალი პრიზის „ჭედილის" შეძენა - 500 (ხუთასი) ლარი.

21. ვეტერანი ძიუდოისტის ***დევიკო გობეჯიშვილის*** მონაწილეობის თანადაფინანსება ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოში ვეტერანთა შორის, სლოვენიაში. სპორტსმენის სამივლინებო თანხა 3161 (სამი ათას ას სამოცდაერთი) ლარი.

22. ***დავით კევლიშვილის*** თანადაფინანსება ევროპის თასზე ძიუდოში, ავსტრიაში; სამივლინებო თანხა - 2840 (ორი ათას რვაას ორმოცი ლარი, 00 თეთრი) ლარი.

23. გოგა მაისურაძის სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირში გამარჯვებული გუნდების საპრიზო თანხა, სულ 2100 (ორიათას ასი).

24. მედლების და თასის შეძენა გოგა მაისურაძის სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირისთვის . 660 (ექვსას სამოცი) ლარი.

25. ტატამის შეძენა საგარეჯოს საჭიდაო დარბაზისთვის (ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების მომართვის საფუძველზე, შ.პ.ს „მე ვარ ძიუდო"-დან) - 59 489,04 (ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხას ოთხმოცდაცხრა ლარი, 04 თეთრი).

26. სოფელ მზისგულის სახალხო დღესასწაულის „მზისგულობა" ქართული ჭიდაობის ტურნირისთვის ცოცხალი პრიზის ყოჩის („ჭედილის") შეძენა - 500 (ხუთასი) ლარი.

27. ვეტერანი სპორტსმენის ***ტარიელ ჯავახიშვილის*** თანადაფინანსება ვეტერანთა მსოფლიო ჩემიონატზე ძიუდოში, არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში - 4684 (ოთხი ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი ლარი, 00 თეთრი);

**ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხაზით**

**საზოგადოებასთან** ურთიერთობის მიმართულებით, წლის განმავლობაში სამუშაოების ინტენსივობიდან გამომდინარე, ფიქსირდებოდა და შუქდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული, სოციალური და სხვა პროექტები სოციალურ ქსელსა და ვებ გვერდზე.

ყოველდღიურად ხდებოდა მედია მონიტორინგი, ურთიერთობა მედიასთან. საჭიროების შემთხვევაში მზადდებოდა სტატია მედიისთვის. ყოველდღიურად წარმოებდა სოციალური ქსელების მონიტორინგი. განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ფაცებოოკ გვერდის ადმინისტრირება. მზადდებოდა პასუხები გვერდის მომხმარებელთა კითხვებზე. სიახლეებიდან გამომდინარე ახლდებოდა მუნიციპალიტეტის ვებ გვერდი sagarejo.gov.ge

***ყოველდღიურად ხდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობა*** და მზადდებოდა პასუხები მათთვის სასურველ კითხვებზე. საჭიროების შემთხვევაში ორგანიზება უკეთდებოდა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვას.

მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და მერის წარმომადგენელთა კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობას და ორგანიზებას.

აწარმოებდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობისათვის მერიისა და საკრებულოს სამართლებრივი აქტების გაცნობას. ადმინისტრაციულ ერთეულებში პერიოდულად აცნობდნენ მოსახლეობას განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებს და პროექტებს.

უზრუნველყოფდნენ მერის და მუნიციპალიტეტის სხვა თანამდებობის პირების საჯარო შეხვედრების ორგანიზებას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

განყოფილებამ ორგანიზება გაუკეთა ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, მერისა და მერიის სამსახურების შეხვედრებს.

წლის განმავლობაში, მოქალაქის განცხადების საფუძველზე ხდებოდა პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ ოქმების შედგენა.

განყოფილება უზრუნველყოფდა მერის წარმომადგენლების თათბირების ორგანიზებას, მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

***შესყიდვების განყოფილების*** მიერ საბიუჯეტოს სახსრების შესაბამისად გამოცხადებული იქნა 97 ტენდერი, აქედან:

დაკონტრაქტდა - 68 შესყიდვის ობიექტი.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**27 ოქტომბერი 2023 წელი**

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის ავთანდილ გულიკაშვილის 2023 წლის წლიური ანგარიში:

**დასასრული**

არ შედგა - 18 ტენდერი. შეწყდა - 3 ტენდერი. დასრულდა უარყოფითი შედეგით - 8 ტენდერი ხოლო გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში გაფორმდა სულ ჯამში 184 ხელშეკრულება. მონეტარული ზღვრის დაცვით - 115 ხელშეკურლება. გადაუდებელი აუცილებლობით - 1 ხელშეკრულება. ექსკლუზივი - 9 ხელშეკრულება. ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - 2 ხელშეკრულება. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება - 19 ხელშეკრულება. წარმომადგენლობითი ხარჯები - 38.

***სამხედრო აღრიცხვის გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ხაზით***

**აღრიცხვის საკითხებში:**

1. 2006 წელს დაბადებული მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღიცხვა მიმდინარეობდა 2023 წლის 20 იანვრიდან 2023 წლის 30 აპრილამდე .

2. პირველად სამხედრო აღრიცხვას ექვემდებარებოდა 419 ჭაბუკი. აყვანილია აღიცხვაზე 219 ჭაბუკი. სხვადასხვა მიზეზის გამო 200 ჭაბუკი დარჩა ასაყვანი აღრიცხვაზე.

3.ასევე ხდება აღრიცხვა რეზერვში ჩარიცხული მოქალაქეების . სპეცაღიცხვაზე აყვანა იმ მოქალაქეების, რომლებიც მუშაობენ ძალოვან სტრუქტურებში.

4. ასევე იწყება მოსამზადებელი სამუშაოები 1 სექტემბრიდან პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანი 2007 წელს დაბადებული ჭაბუკების ფორმა №4 -ს ფორმა №5 -ს მიხედვით.

**გაწვევის საკითხებში**

1). სავალდებულო სამხედრო სამსახურში საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობს 2023 წლის 7 თებერვლიდან 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით. გეგმით გათვალისწინებულია 41 წვევამდელის გაწვევა. აქედან შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროვებულ ქვედანაყოფში უნდა ჩაირიცხოს 4 წვევამდელი, თავდაცვის სამინისტროს გასამხედროვებულ ქვედანაყოფში 35 წვევამდელი, იუსტიცოიის სამინისტროში 2.

ა). შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროვებულ ქვედანაყოფში ჩაირიცხა- 7 წვევამდელი

ბ).თავდაცვის სამინისტროს ჯარებში 18 წვევამდელი.

გ)სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში 2 წვევამდელი

დ) დაცვის პოლიციაში 6 წვევამდელი.

2).სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების შესახებ მიღებულია გადაწყვეტილება 535 წვევამდელზე. მათ შორის:

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ვადით 1 წლამდე) 26 წვევამდელი,

ბ) შეზღუდულად ვარგისია 37 წვევამდელი,

გ ) სტუდენტია 143 წვევამდელი,

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეა 41 წვევამდელი,

ე) ორი შვილი ჰყავს 8 წვევამდელს,

ვ) დედისერთაა-16 წვევამდელი,

ზ) ჰყავს ერთი შვილი 27 წვევამდელს

თ) განთავისუფლებულია 29-ე მუხლის შესაბამისად 10 წვევამდელი ( უვარგისია სამხედრო სამსახურისთვის)

ი)სამხედრო მოსაკრებელი გადაიხადა 9 წვევამდელმა

კ) დედისერთაა 7 წვევამდელი.

ლ). პროფესიულუ სასწავლებლის სტუდენტია 10 წვევამდელი

მ) გადაეცა სასამართლოს 110 წვევამდელი.

ნ.) ანალიტიკურ სამსახურს საზღვრის კვეთის შესახებ გადაეცა 312 წვევამდელის შესახებ.

ო). პოლიციას გადაეცა 21 წვევამდელი.

პ) არის მღვდელმსახური (გირჩი მეტი თავისუფლება) 49 წვევამდელი.

ჟ) არის აბიტურიენტი „ე1' 50 წვევამდელი

რ) მიდინარეობს სისხლის სამართლის დევნა 1 წვევამდელზე.

1. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა მიმდინარეობს 2023 წლის 14 აგვისტოდან. გეგმით გათვალისწინებულია 41 წვევამდელის გაწვევა, აქედან შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფში 4 წვევამდელი. თავდაცვის სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფში 36 წვევამდელი. იუსტიციის სამინისტროს (სასჯელაღსრულების დეპარტამენტში) 1 წვევამდელი.

ა) შინაგან საქმეთღა სამინისტროს გასამხედროვებულ ქვედანაყოფში ჩაირიცხა 7წვევამდელი,

ბ) თავდაცვის სამინისტროს ჯარებში 7 წვევამდელი.

გ) სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში 2 წვევამდელი.

დ) დაცვის პოლიციაში 3 წვევამდელი.

დღეის მდგომარეობით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გადავადების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია.

ა) ჯანმრთელობის მდგომარეობით ვადით 1 წლამდე 5 წვევამდელი

ბ) შეზღუდულად ვარგისია 9 წვევამდელი

გ) სტუდენტია 27 წვევამდელი.

დ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეა10 წვევამდელი.

ე) ერთი შვილი 12 წვევამდელი.

ვ) ორი შვილი 4 წვევამდელი

ზ) დედისერთა 7წვევამდელი

თ) გათავისუფლებულია 29-ე მუხლის საფუძველზე 1 წვევამდელი.

ი) სამხედრო მოსაკრებელი გადაიხადა 8 წვევამდელმა.

კ) გადაეცა სასამართლოს 28 წვევამდელი.

ლ) სოფლის მასწავლებელია 1 წვევამდელი.

**შიდა აუდტის სამსახურის ანგარიში**

შიდა აუდიტის მიმართულება

**2023 წლის** ოქტომბრის მონაცემებით, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შიდა აუდიტის კუთხით განხორციელებული შემოწმებები:

• შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ საგარეჯოს გარეჯი"

• აუდიტორული შემოწმების მიზნები: სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა კანონმდებლობასა და სამსახურის მიზნებთან შესაბამისობის კუთხით, თანხების ხარჯვის კანონიერება;

• აუდიტორული შემოწმების სახეები: შესაბამისობის, ფინანსური

• გაცემული რეკომენდაცია- 7;

• სტატუსი-დასრულებული შემოწმება.

• ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი „ვეფხვები"

• დაწესებულების მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა კანონმდებლობასა და ორგანიზაციის მიზნებთან შესაბამისობის კუთხით, თანხების ხარჯვის კანონიერება;

• აუდიტორული შემოწმების სახეები: შესაბამისობის, ფინანსური;

• სტატუსი - ანგარიში პროექტის სახით.

3) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, და არქიტექტურის განყოფილება

• აუდიტორული შემოწმების სახეები: შესაბამისობის აუდიტი;

• აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო: სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა კანონმდებლობასა და სამსახურის მიზნებთან შესაბამისობის კუთხით;

სტატუსი- მიმდინარე შემოწმება.

შემოწმებული ობიექტების აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდება 2024 წელს.

**მონიტორინგის მიმართულება**

2022 წელს აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის მიზნით განხორციელდა შემოწმება შემდეგ დაწესებულებაში:

1) ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი.

გაცემული რეკომენდაცია-2

ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაცია-1.

შიდა აუდიტის სამსახურისგან წლის განმავლობაში, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან ხდებოდა ინფორმაციის გამოთხოვა. კომპეტენციის ფარგლებში სამსახური ამუშავებდა და აგზავნიდა მოთხოვილ ინფორმაციას.

***მოხსენების დასასრულ, დეპუტატთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა და შესაბამისი სამსახურის უფროსებმა.***

# გამოსათხოვარი

## ცირა ხებრელაშვილი



**საგარეჯოს** რაიონის მედიცინის მუშაკთა სკოლა, ასე უწოდებდნენ 60-70-80-იანი წლების საგარეჯოს რაისაავადმყოფოს მედიკოსთა იმ თვალსაჩინო, პროფესიონალთა კოჰორტას, რომლის ერთ-ერთი მშობლიური ნაწილი ექიმი-თერაპევტი, საგარეჯოელი ქალბატონი ცირა ხებრელაშვილი იყო, თავისი საქმის პროფესიონალი, ნაზი, ფერიასავით მომხიბვლელი, დახვეწილი გემოვნებით, მრავალრიცხოვან პაციენტთაგან უზომო სიყვარული და პატივისცემადამსახურებული. ეიმედებოდათ, ენდობოდნენ, იცოდნენ მათი ჯანმრთელობის სადარაჯოზე მუდამ ფხიზლად მყოფ ექიმს არ გამოეპარებოდა უმნიშვნელო ნიუანსიც კი. ათეული წლები ხელმძღვანელობდა რაისაავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებას. ათეული წლები იდგა მხნედ, მაგრამ ბოლო წლებში მასაც უმტყუნა ჯანმრთელობამ...

4 ნოემბერს მიებარა სათაყვანებელი საგარეჯოს მიწას. მისი სახელი კი დიდხანს ემახსოვრება მისგან განკურნებულ ადამიანებს, მის მოსაგონრად ივლიან და საგარეჯოს დაამშვენებენ მისი სამი შვილიშვილი, სამივე ვაჟკაცი და მარტო ბებოს სიამაყეები კი არა, საგარეჯოს სიამაყეებიც – ძმები კუჭუაშვილები.

ნათელში იყოს ცირა ექიმო თქვენი სპეტაკი სული.

მადლიერი საგარეჯოელების სახელით

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია*

## ხევისპირელი როლანდი ჭიაბერაშვილი



**2023 წლის** ღვინობისთვის 6 რიცხვში, დილით, ცისკრის ვარსკვლავის ამობრწყინებისას შეუერთდა ზეციურ საქართველოს და სამარადჟამო განსასვენებელი მშობლიური გიორგიწმინდის მადლიან და კურთხეულ მიწაში ჰპოვა,– როლანდი ჭიაბერაშვილი... ძნელია წარსულში ისაუბრო დღეს იმ ადამიანის ცხოვრების განვლილ გზაზე, რომელიც თავისი ცხოვრების წესით ამშვენებდა ქვეყანას, აადვილებდა გარშემომყოფთა ყოველდღიურობას. კაცი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ემსახურა საგარეჯოს რაიონს, საყვარელ ქვეყანას... თესა სიკეთე, სიყვარული, იყო უბოროტო კაცი, თანადგომის, მეგობრობის, ერთგულების ეტალონი. პროფესია სტომატოლოგია, – კბილის ტექნიკთან ერთად ჰქონდა შეთავსებული კაცურ-კაცობის სახელი. დღეს როლანდი ცოცხალთა შორის სინანულით და სიყვარულით იხსენიება. დიახ, სინანულით და სიყვარულით. რწმენის კაცი იყო, რადგან, მიუხედავად თავისი მძიმე სენისა, შეეძლო სხვების გამხნევება, გვერდში დგომა, თავისი სატკივრით არავის არ აწუხებდა...

მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ცხოვრობდა ხალასად, შრომობდა ლამაზად, ურთიერთობდა იუმორით, ხარობდა ქართულად.

მის მოსაგონებლად, სახელის უკვდავსაყოფად ამ ქვეყნად დარჩა მისი დიდი, ლამაზი ოჯახი: დატოვა სიყვარულით შერთული მეუღლე – დალი ჩუნთიშვილი-ჭიაბერაშვილისა, რომელიც მეუღლის მსგავსად ათეული წლები ემსახურა საგარეჯოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, როგორც პროფესიონალი მედიკოსი. შვილიშვილის, მოსახელის, როლანდის შვილები – საბა და გეგე ჭიაბერაშვილები. ასევე შვილიშვილი დალიკო ჭიაბერაშვილი ლამაზი შვილებით, ნიკოლოზი და ანნა. შვედეთში, ემიგრაციაში მყოფი შვილი ემზარი და რძალი მარეხი. უმცროსი შვილი, ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილ საზოგადო მოღვაწე – ნუგზარი, ოთხი პატარა უფლისწულით – ელია, სპირიდონი, მარკოზი, სერაფიმე ჭიაბერაშვილებითა და მისი მეუღლე ნეკა. ერთადერთი საფიცარი დაიკო, ყველასთვის საყვარელი – ნათელა... დიდი სანათესაო, სამეგობრო და ყველა, ვისაც კი მასთან შეხება ჰქონია...

იყო პოეტი, სახალხო მთქმელი ფსევდონიმით ხევისპირელი", კაფიის კარგი ოსტატი და ამ სფეროში ცნობილი მოღვაწე, ასევე ჟურნალ ხალხურის" მთავარი რედაქტორი, დაჯილდოებულია „ქართული კულტურის ამაგდარის წოდებით".

იყო უბრალო, უბოროტო კარგი კაცი... დიახ, ნათელი მის სულს.!

**გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია.**

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ემზარ კუჭუაშვილს დედის***
**ცირა ხებრელაშვილი-კუჭუაშვილის**
***გარდაცვალების გამო.***

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ემზარ კუჭუაშვილს დედის***
**ცირა ხებრელაშვილი-კუჭუაშვილის**
***გარდაცვალების გამო.***

***გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ემზარ კუჭუაშვილს დედის***
**ცირა ხებრელაშვილი-კუჭუაშვილის**
***გარდაცვალების გამო.***

***გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ნინო მარხვაშვილსა და ზაზა კუჭუაშვილს***
**ცირა ხებრელაშვილი-კუჭუაშვილის**
***გარდაცვალების გამო.***

***გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს შპს „გარანტის" დირექტორს ნათელა ჭიაბერაშვილს ძმის***
**როლანდ ჭიაბერაშვილის**
***გარდაცვალების გამო.***

***„შპს საგარეჯოს" დირექტორი თამაზ კუჭუაშვილი და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ემზარ კუჭუაშვილს დედის***
**ცირა ხებრელაშვილი-კუჭუაშვილის**
***გარდაცვალების გამო.***

## მზადება 2024 წლის არჩევნებისათვის

# ამომრჩეველთა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანია

**საქართველოს** ცენტრალური საარჩევნო კომისია, საარჩევნო სფეროში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს. ამომარჩეველთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ცესკოს წარმომადგენლები შეხვედრებს ახორციელებენ საჯარო უწყებებში, სასწავლო დაწესებულებებში, რკინიგზისა და მეტრო სადგურებზე, სავაჭრო მოლებში, სახალხო დღესასწაულებზე.



შეხვედრებზე ამომრჩევლებს დეტალური ინფორმაცია მიეწოდებათ არჩევნების მოდერნიზების მიმართულებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის, ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობებისა და საკანონმდებლო სიახლეების შესახებ.



ამ კამპანიის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაერთი შეხვედრა ჩატარდა. საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების, შპს - საგარეჯოს,,,სუფთა მუნიციპალიტეტი 2018"-ის, საგარეჯოს სპორტული გაერთიანების, საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის, საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთ „გარეჯის მაცნეს", კულტურის ობიექტების გაერთიანების,რაგბის კლუბ „ვეფხვების",საგარეჯოს „სათნოების სახლის", საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის, საგარეჯოს მინიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლები პირადად გაეცნენ ელექტრონული ტექნოლოგიების მუშაობას,რომელიც 2024 წლის 26 ოქტომბერს პარლამენტის მორიგ არჩევნებზე ფართო მასშტაბით იქნება გამოყენებული. შეხვედრის ფარგლებში ასევე გაიმართა იმიტირებული კენჭისყრაც, მონაწილეები გაეცნენ ბიულეტენის შევსების ახალ წესს და პრაქტიკაში გამოსცადეს ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების მუშაობა.



ცესკოს მიერ წარმოებული საინფორმაციო კამპანია მიზნად ისახავს ამომრჩევლებამდე მიიტანოს ზუსტი ინფორმაცია არჩევნებში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის დადებითი ასპექტების შესახებ:

***გამარტივებული პროცედურები***

***შემცირებული რიგები - ნებისმიერ თავისუფალ რეგისტრატორთან მისვლის შესაძლებლობა***

***არჩევნებში ამომრჩეველთა მონაწილეობის უტყუარი დადასტურება***

***წინასწარი შედეგების გამოქვეყნების შემცირებული დრო***

***ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების მინიმუმადე დაყვანა***

***ელექტრონული აპარატები არ არის დაკავშირებული ინტერნეტ ქსელთან და შესაბამისად, არ არსებობს კიბერჩარევის საფრთხე.***

***არჩევნების შედეგები ზუსტი და სანდოა, თითოეული ამომრჩევლის ხმა დაცულია.***



საარჩევნო ადმინისტრაცია ქვეყანაში ელექტრონული არჩევნების დანერგვასთან დაკავშირებით ამომრჩეველთა ფართომასშტაბიან ინფორმირების კამპანიას აქტიურ რეჟიმში აგრძელებს. კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები ეტაპობრივად იმართება სხვადასხვა უწყებებსა თუ საჯარო სივრცეებში.

*საგარეჯოს №11*
*საოლქო-საარჩევნო*
*კომისია*

## საქართველოს მთავრობა

# საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა

**ონკოლოგიური** ქირურგია როგორც გეგმური, ისე გადაუდებელი ოპერაციები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოპაციენტს (გარდა საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირებისა) დაუფინანსდება. მათ შორის არიან დაზღვეული ვეტერანები და ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია.

მიმდინარე წლის აგვისტოდან მთავრობის გადაწყვეტილებით ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს უფინანსდებოდა. დღეს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილების მიხედვით მოქალაქეებისთვის თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი როგორც ქიმიო/ჰორმონო/სხივური თერაპიებისა და მედიკამენტების, ისე ონკოლოგიური ქირურგიის დაფინანსება.

აღნიშნული გადაწყვეტილებით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

## მართლმადიდებლობა

# *2 ნოემბერი წმიდა ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსის ხსენების დღეა!*

***გაბრიელი (ურგებაძე), (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, მართლმადიდებლურ ეკლესიაში — წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსი; დ. 26 აგვისტო, 1929, თბილისი — გ. 2 ნოემბერი, 1995, მცხეთა) — ქართველი სასულიერო პირი (არქიმანდრიტი) და მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანი (ხს. დღე — 2 ნოემბერი)[2].***

**ბიოგრაფია**



**გოდერძი** ურგებაძე დაიბადა თბილისში წმინდა ბარბარეს ეკლესიის მახლობლად. მამა, ვასილ ურგებაძე, მამუკინის (ნავთლუღის) სოფლის საბჭოს თავმჯდომარე და ამავე დროს „შინსახკომის" წარმომადგენელი იყო. მცირეწლოვან გოდერძის მამა ადრევე გარდაცვლილა, ის 1931 წლის შეთქმულებას შეეწირა.

გოდერძიმ დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლის ექვსი კლასი. 1949 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. იგი მსახურობდა ბათუმში. მიუხედავად არმიაში არსებული სიმკაცრისა, ახერხებდა ეკლესიაში სიარულს, სწორედ აქ შეისწავლა მან ხუცური. 1951-1955 წლებში სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, თავის ეზოში ააგო ოთხგუმბათიანი ეკლესია. ხელისუფლება რამდენიმეჯერ ცდილობდა დაენგრია ეკლესია, მაგრამ უშედეგოდ (ეკლესია დღესაც დგას თეთრიწყაროს ქუჩაზე). 1954 წელს გოდერძიმ თხოვნით მიმართა ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოსს მეუფე გაბრიელს დიაკვნად კურთხევასთან დაკავშირებით. 1955 წელს ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოხდა მისი დიაკვნად კურთხევა, ხოლო 1955 წლის 23 თებერვალს მოწამეთას მონასტერში ქუთათელ-გაენათელმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა ის ბერად აღკვეცა და მისივე თხოვნით წმინდა გაბრიელ ათონელის საპატივცემულოდ გაბრიელი ეწოდა. იმავე წლის 27 თებერვალს მამა გაბრიელი მღვდელ-მონაზვნად იკურთხა. 1956 წელს მღვდელ-მონაზონი გაბრიელი ავადმყოფობის გამო ითხოვს საეკლესიო სამსახურიდან დათხოვნას. ამავე წლის მაისში იგი ინიშნება წმინდა ნინოს (დასაზუსტებელია) ეკლესიაში მთავარ დიაკვნად. სიცოცხლის ბოლო წლებში მამა გაბრიელი მოღვაწეობდა მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში.

**კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ**

**მამა გაბრიელი** იყო ერთ-ერთი იმ იშვიათ შემთხვევათაგანი, ვინც კომუნისტების დროს ბერად აღიკვეცა და ააშენა ეკლესია. 1965 წელს 1 მაისს კომუნისტური აღლუმის დროს დაწვა ლენინის 12-მეტრიანი პორტრეტი. დაკითხვაზე მამა გაბრიელმა განაცხადა: „იქ უნდა ეკიდოს ქრისტეს ჯვარცმა და არა — ლენინის სურათი. კაცს რად უნდა დიდება. უნდა ეწეროს: დიდება ქრისტე ღმერთს" მას უპირობო დახვრეტის მუხლი მიუყენეს. კომუნისტური რეჟიმის მესვეურები მისგან მოითხოვდნენ, ეღიარებინა, რომ ყოველივე ეკლესიის დავალებით ჩაიდინა, სანაცვლოდ კი სიცოცხლის შენარჩუნებას სთავაზობდნენ. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების მიუხედავად, გაბრიელ ბერს პოზიცია არ

*დასასრული მე-9 გვერდზე*

# მართლმადიდებლობა

## ასი ათასი მოწამე

***წმიდანი** ათნი ბევრნი (100 000) მოწამენი, თბილისს ხვარაზმელთაგან 1227 წელს წამებულნი — საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდანები, ხსენების დღე ახალი სტილით 13 ნოემბერს (ძვ. სტ. 31 ოქტომბერი).*



**თამარ** მეფის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დაუდგა ქვეყანას. ჩინგის ყაენისაგან ძლეული ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი დედაწულიანად აიყარა და საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ დროს ქვეყანას თამარ მეფის ასული რუსუდანი განაგებდა. რუსუდანის ბრძანებით შეკრებილი ლაშქარი ჯაყელთა საოცარი თავდადების მიუხედავად გარნისთან გამართულ ომში ღალატის გამო მაინც დამარცხდა. ადარბადაგანსა და ნახჭევანს დამკვიდრებულმა ჯალალედინმა საქართველოს მაშინდელი ათაბაგი ავაგ მხარგრძელი იხმო და შესთავაზა, რომ დედოფალი რუსუდანი მისი თანამეცხედრე გამხდარიყო და მონღოლების წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანს ხვარაზმელებთან ერთად ებრძოლათ, თუ არადა მოაოხრებდა საქართველოს. ავაგ ათაბაგმა რუსუდანის უარი აცნობა ჯალალედინს, მან კი სანაცვლოდ ლაშქარი აჰყარა და თბილისისკენ დაიძრა.

ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა“, დიდად დაჯაბნეს ხვარაზმის სულთანი, მაგრამ ღამით თბილისელმა სპარსელებმა უღალატეს ქართველებს, ქალაქის კარი გააღეს და მტერი თბილისში შემოუშვეს. „ვინ-მე უძლოსა მაშინდელთა განსაცდელთა აღწერა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა?“ – კითხულობს ჟამთააღმწერელი და განაგრძობს, – „ჩჩულნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან და რომელსამე თუალნი წარსც დიან და რომელსამე ტ ნი დაეთხიის. ყვირილთა და ზახილთა ვაებითა საზარელთა  მათაგან იძვროდა ქალაქი “. თბილისის ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო.

ჯალალედინის ბრძანებით ეკლესია-მონასტრები დაანგრიეს, პატიოსანი სამსხვერპლონი შეურაცხყვეს, სიწმინდეები შეაგინეს, ეპისკოპოსები, მღვდლები და დიაკვნები „ეკლესიათა შინა ხატთა და ჯუართავე თანა“ შემუსრეს, მონაზვნები და მორჩილები დაატყვევეს და წამებით მოკლეს, ქალწულები შეურაცხყვეს. მაგრამ მაინც ვერ დამშვიდდა „უკეთური იგი სული მისი“ და „განზრახვითა ეშმაკისაითა“ მოიგონა სხვა სიბოროტეც: სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვევინა, ზედ თავისი „ბილწი საჯდომელი“ დააშენებინა საიდანაც თავლ ყურს ადევნებდა მეტეხის ხიდზე მომხდარ მოვლენებს. ამ მიზნით სიონის ტაძრიდან მოატანინა მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე „პირაღმართ“ დაადებინა და ტყვეებს ფეხის დადგმით პატიოსანთა ხატთა შეურაწყოფა და სჯულის დატევება უბრძანა.

ჯალალედინის ხელქვეითებმა ურიცხვი ქრისტიანი ხიდის თავში დააყენეს და გამოუცხადეს: ვინც შეასრულებს სულთნის ბრძანებას, გათავისუფლდება და დასაჩუქრდება, ხოლო ვინც ეურჩება, თავის მოკვეთით დაისჯება. მაშინ ზოგიერთმა სულმოკლე ქრისტიანმა სიკვდილის შიშით ღმერთი დაივიწყა და ქრისტეს განუდგა. მაგრამ დიდმა უმრავლესობამ მხნედ მიუგო მტარვალთ: „თუმცა შერცხვენილნი და დამდაბლებულები ვართ ჩვენი ცოდვების გამო, გულით შევსწირავთ თავს ღმრთს მოტევებისათვის ცოდვათა ჩუენთასა, რომელნიც ვქმენით ქალაქსა ამას შინა, და როგორც შევაგინეთ ჩვენი ქალაქი თავისი სიწმიდეებით, ასევე უნდა განსწმინდოს იგი ღმერთმან ჩვენი სისხლით. არ უარვჰყოფთ ჩვენ ქრისტეს, ჩვენს შემოქმედსა და უფალს, არამედ ყოველნი მისი სახელისათვის მოვკვდებით.”

ხვარაზმელები ხიდის მოაჯირის გასწვრივ გაშიშვლებული მახვილებით ხელში ჩამწკრივდნენ, ხოლო დატყვევებული ქრისტიანები რიგრიგობით უნდა გადასულიყვნენ ხიდზე და ქრისტეს უარყოფის ნიშნად ხიდზე გადებულ ხატებზე ფეხით უნდა გაევლოთ. ტყვეთა უმრავლესობამ დიდი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა, რის გამოც იქვე სიკვდილით იყვნენ დასჯილები.

## წმ. ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი-სალოსი

**დასასრული**

შეუცვლია. პირიქით, მორიგ დაკითხვაზე ლენინი კვლავ მხეცად მოიხსენია, რის გამოც ის კვლავ სცემეს და აწამეს. ეს ამბავი უცხოეთის პრესისთვის არ დარჩენილა შეუმჩნეველი და ევროპისა და ამერიკის ჟურნალ-გაზეთებით ფართოდ გავრცელდა.[5] მამა გაბრიელი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას უკიდურესად არაჰუმანურად ეპყრობოდნენ.

### ბოლო წლები

### მამა გაბრიელის საფლავი

**კოშკი** რომელშიც მამა გაბრიელმა ბოლო წლები გაატარა

მამა გაბრიელი ბოლო წლებში ცხოვრობდა მცხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ, მეფე მირიან III-ის კოშკში. 1995 წელს ბერი წყალმანკით მძიმედ დაავადდა. გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ გაბრიელ ბერი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა. 1995 წ. 2 ნოემბერს არქიმანდრიტი გაბრიელი გარდაიცვალა. იგი ანდერძისამებრ დაიკრძალა ბერ-მონაზვნური წესით, ჭილოფში გახვეული, მცხეთის დედათა მონასტრის სასაფლაოზე. ამბობენ, რომ არქიმანდრიტი გაბრიელის სისხლი, რომელიც ექიმმა-ქირურგმა ზურაბ ვარაზაშვილმა აიღო ანალიზის ჩასატარებლად — დღემდე უხრწნელია[3]. მორწმუნეთა გადმოცემით, მამა გაბრიელის საფლავზე ჩაუქრობელი კანდელიდან აღებული ზეთი სასწაულებრივი კურნების თვისებით არის ცნობილი, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ[6].

## გიორგობა საქართველოში

**წმინდა** გიორგის კულტი საქართველოში IV საუკუნიდან იღებს სათავეს და ეს შემთხვევითობა სულ არ არის.



ქრისტიან წმინდანთა შორის მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამას მოწმობს საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი, რომელიც წმინდა გიორგის სახელზეა აგებული. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, ‘’არ არსებობს ბორცვი და მაღალი გორა, რომელზეც არ იდგეს წმ.გიორგის ეკლესია.” ეს ტაძრები აგებულია ქალაქებში, სოფლებში, კლდეებზე, მთის მწვერვალებსა და რთულად მისასვლელ ადგილებში. ეკლესიები წმინდა გიორგის ცხოვრებისა და სასწაულების გამომსახველი ფრესკებითაა მოხატული. დიდმოწამის მიმართ ძლიერი თაყვანისცემა ერში ფართოდ გავრცელებული სახელით - გიორგითაც გამოიხატება.

წმინდა გიორგი ეკლესიის ისტორიაში შევიდა როგორც ძლევამოსილი, ზეციური მხედარი. იგი ითვლება მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა და მოგზაურთა მფარველად. მას ევედრებიან, აგრეთვე, დემონური ძალებისგან დახსნისათვის.

### როგორ აღინიშნება გიორგობა საქართველოში ახლა და ძველად?

**ჩვენს** ქვეყანაში, სხვა მართლმადიდებელი ქვეყნებისგან განსხვავებით, წმინდა გიორგის ხსენების დღე წელიწადში ორჯერ აღინიშნება - 23 ნოემბერსა და 6 მაისს. ნოემბრის გიორგობა, რომლის თარიღიც სულ მალე ახლოვდება, წმინდანის ბორბალზე წამების დღეა და მართლმადიდებელ სამყაროში მხოლოდ საქართველოში აღინიშნება. ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარსა და მონასტერში დიდმოწამის სახელზე წირვა-ლოცვა აღევლინება. სვეტიცხოველში კი, ყოველწლიურად, დღესასწაულთან დაკავშირებით დიდი საზეიმო ლიტურღია ტარდება.

ქართული რელიგიური დღესასწაულების უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელს უკავშირდება. ხალხური გიორგობა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახელწოდებით იმართებოდა: ქართლში – გერისთობა, უსანეთობა, ატოცობა; კახეთში – ალავერდობა, თეთრი გიორგობა; სამეგრელოში – ილორობა და სხვა. გიორგობას ხალხი ეკლესიას სამჯერ ან შვიდჯერ შემოუვლიდა ხოლმე. მგალობლების გუნდი კი დიდებას გალობდა. “ხატის მონები” თეთრ სამოსში, ყელზე მძიმე ჯაჭვით, ჩოქვით უვლიდენენ ეკლესიას და კედლებზე სანთელს ანთებდნენ. კარის ზღურბლზე წვებოდა „ხატის მონა“, რომელსაც ყველა შემსვლელი ფეხს ადგამდა. წირვის შემდეგ იკვლებოდა შეწირული საქონელი, ფრინველი, იმართებოდა პურობა, რომელიც ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა.

დღესდღეობით, გორის მუნიციპალიტეეტის გორისჯვრის ტაძარში, სასულიერო პირების წინააღმდეგობის მიუხედავად, ადგილობრივი მრევლი ჯერ კიდევ სწირავს ცხვრებისა და მამლის სახით შესაწირს. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლშეწირვის ტრადიცია წარმართობას და არა ქრისტონულ რელიგიას უკავშირდება.

ხალხურ ლეგენდის თანახმად, 365 წმინდა გიორგის სახელით დალოცვაა, რომელიც წმინდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან და საქართველოში არსებულ წმინდა გიორგის 365 ნაწილთან არის დაკავშირებული. ლეგენდის მიხედვით, წმინდანის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მისი სხეული დაანაწილა და ქვეყანაზე მიმოაბნია. ყველგან, სადაც ეს ნაწილები მოხვდა, სალოცავები დააწესა.

### ვინ იყო დიდმოწამე გიორგი

**საქართველოს** კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონის ცნობით, წმინდა გიორგი კაბადოკიელი მესხი იყო, ხოლო წმინდა არსენ იყალთოელის მოწმობით, საქართველოს განმანათლებელი წმინდა ნინო დიდმოწამის ბიძაშვილი გახლდათ. წმინდა გიორგი III საუკუნის მეორე ნახევარში, დაახლოებით 275 წელს, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. რომის ლაშქარს ახალგაზრდა შეუერთდა და თავი განსაკუთრებული სიმამაცით გამოიჩინა. რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის დროს ის მხედართმთავარი გახდა. დიოკლეტიანემ თავისი განმგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. ბოლო ვინც მეფის განაჩენს შეეწინააღმდეგებოდა, სიკვდილით დასჯიდნენ. მას შემდეგ, რაც ქრისტიანებზე დევნა დაიწყეს, წმინდა გიორგი იმპერატორს განუდგა. ამის შემდეგ, კერპთაყვანისმცემელმა რომის იმპერატორმა წმინდანს ქრისტეს უარყოფა მოსთხოვა. თუმცა, გიორგი კაპადოკიელს მოწამეობრივი სიკვდილი ერჩივნა ვიდრე ქრისტეს უარყოფა. გადმოცემის თანახმას, იგი ბორბალზე რომის იმპერატორმა სასტიკად აწამა. არაერთი წამების მოწმე გახდა წმიდანი, ხან ურმის თვალზე დააკრეს, ხან გავარვარებულ კირის ღუმელში მოათავსეს, მაგრამ ყოველი წამების დროს წმინდანი ლოცულობდა, თავად ქრისტე აძლიერებდა და სასწაულებრივად განკურნავდა. წმინდა გიორგის 303 წელს, 30 წლის ასაკში თავი მოკვეთეს. ანდერძისამებრ, წმიდა გიორგის სხეული დაკრძალეს პალესტინის ქალაქ რამლაში, კონსტანტინე დიდის მეფობის დროს კი გადაასვენეს წმიდანის სახელზე აშენებულ დიდ ტაძარში, ქალაქ ლიდაში. ის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევაშემოსილი და ზეციური მხედარი.

### წმინდა გიორგის თაყვანისცემა საქართველოში

**წმინდა** გიორგის თაყვანისცემა საქართველოში მე–4 საუკუნის დასაწყისში იწყება. ძველი დროიდანვე საქართველოს, წმინდა გიორგის ქვეყანას, გეორგიას უწოდებენ. არსენ იყალთოელის მოწმობით, წმინდა ნინო - საქართველოს განმანათლებელი, დიდმოწამის ბიძაშვილი იყო და ქართველმა ერმა მისგან შეიტყო წმინდა გიორგის მოწამეობის შესახებ. გადმოცემით, სწორედ წმინდა ნინოს დაუდგენია ეს დღე დღესასწაულად.

წმინდა გიორგის სახელზე არაერთი სასწაულმოქმედი ხატია შექმნილი, რომელებსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს. ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი , შუბით ხელში, რომელიც გველეშაპს კლავს, ბოროტებაზე გამარჯვების სიმბოლოა. საქართველოში უამრავი ლეგენდა არსებობს იმის შესახებ, როგორ შეეწეოდა ხოლმე წმინდანი ქართველთა ლაშქარს მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში, მათ შორის დიდგორის ბრძოლაშიც. წმინდა გიორგი იყო გამოსახული საქართველოს მეფეების, ბაგრატიონების გერბზე, როგორც გველეშაპის შემმუსვრელი. წმინდა გიორგი, როგორც ერთიანი საქართველოს სიმბოლო განმასახიერებელი და მფარველია. საქართველოს სახელმწიფო გერბის მთავარი ფიგურა არის და ჰერალდიკასა და ვექსილოლოგიაში სიმბოლურად გამოისახება - თეთრ ფონზე წითელი სწორკუთხა ჯვრით.

წმინდა გიორგის კულტი მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მას არამარტო მართლმადიდებლები, არამედ ყველა მიმართულების ქრისტიანული აღმსარებლობის მორწმუნეები სცემენ თაყვანს. მათ შორის, კათოლიკეები, პროტესტანტები, გრიგორიანელები, მონოფიზიტები. წმინდანის შესახებ ცნობები მაჰმადიანთა წმინდა წიგნში - ყურანშიც მოიპოვება.

***საქართველოს შრომის კოდექსით 23 ნოემბერი უქმე დღეა და მას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს.***

## ხელოვანები

# გარეჯელი ოქროსხელება გოგონები

*ეს გოგონები ადრე არც ერთმანეთს იცნობდნენ და მაია და ნათია არც საგარეჯოსაც არ იცნობდნენ, თუმცა ოჯახის შექმნის შემდეგ იქნებ საგარეჯოს ქუჩებშიც შეხვედროდნენ „უბრად“ ერთმანეთს, მაგრამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ახალი სიოს დაბერვამ“ და ერთი წლის წინ ქალაქის გამოცოცხლებამ ისინი ერთმანეთს შეახვედრა, გაიცნეს ერთმანეთი და თავიანთი ხელით ნაკეთები ნივთებიც წარმოგვიდგინეს. დიახ, გასული წლის შემოდგომის ზეიმებმა, ღვინის დღეებმა უამრავ ადამიანს უმასპინძლა გარეჯული სტუმართმოყვარეობით და მათ ამ გოგონების ნამუშევრებიც გააცნო.*

**ნათია სოლომონია** *აბაშიდანაა. სანამ საგარეჯოელ ნუკრი მალასიძეს გაიცნობდა, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, მეოთხე კურსი მიატოვა და საგარეჯოში მყუდრო, სიყვარულით სავსე ოჯახი შექმნა. ოჯახშიც მოსიყვარულე ადამიანები დახვდნენ, ერთი ბიჭი შეეძინა, რომელიც ახლა 15 წლისაა.*



*ნათიას ხელოვნების თითქმის ყველა დარგი მოსწონს, მაგრამ, აი, პოლიმერული თიხით დამზადებულმა ნივთებმა ისე მიიპყრო მისი ყურადღება, რომ საკმაო დოზითაც დაინტერესდა – პირველად პლასტილინით სცადა ყვავილების გამოძერწვა, მალე გამოუვიდა და პოლიმერული თიხა გამოიწერა.*

– როცა პოლიმერული თიხის ყუთს დავხედე, მივხვდი, რომ მე მასთან, ჩემთვის ჯერ უცნობ თიხასთან კარგი, საუკეთესო და მეგობრული დამოკიდებულება მექნებოდა... და შევძელი კიდეც. დავუკავშირდი გოგონას, რომელიც მუშაობდა პოლიმერულ თიხაზე და მასთან გავიარე ონლაინ გაკვეთილები... ეს ორი წლის წინ იყო, ახლა, თქვენც ხედავთ ჩემს ნამუშევრებს... ჩემი ნამუშევრების გაჩუქება ძალიან ადვილად შემიძლია იმ ადამიანებზე, რომლებიც ჩემს გულთან ახლოს მეგობრულად მოდიან და წარმოიდგინეთ, შეკვეთები მაქვს და ვაგზავნი იტალიაში, აჭარაში, ჩვენი ქვეყნის კიდევ სხვადასხვა ქალაქებში. მსიამოვნებს, სტიმულს მაძლევს გამოფენები, რომელიც ამ ბოლო წლებში საგარეჯოში ეწყობა, ახლახანს საგარეჯოდან თელავსა და გურჯაანშიც გადავინაცვლეთ მე და ჩემმა ნამუშევრებმა, გამოფენები ეწყობა ხოლმე თბილისშიც .

როგორ გითხრათ, როდის და რატომ ვმუშაობ პოლიმერულ თიხაზე? როცა სურვილი გამიჩნდება და ეს ძალიან ხშირად ხდება, რადგან მუშაობა თიხაზე ყურადღების კონცენტრირებას, აზროვნებას ითხოვს, ამასთან, თითების მოძრაობა, ინტერესი, შედეგის მოლოდინი კიდეც გამშვიდებს და კიდეც „გაფორიაქებს“ და თუ შედეგი საინტერესოა, მაშინ ხომ გემატება ენერგია, ***მეუბნება ნათია.***

*თბილ, მატყლით ნაქსოვ ნივთებთან დახლთან დგას მომღიმარე გოგონა, თან ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს საგარეჯოში „ღვინის დღეების“ მონაწილეებს. პირველად არა აქვს გამოფენა, მაგრამ რაღაცნაირად, ცოტა არ იყოს, ღელავს და ეს ღელვაც სწორედ გარეჯელთა გულწრფელი სიხარულისგან აქვს – დღეს ყველა იღიმის, ყველა სიხარულით ხვდება – „ღვინის დღეებია“ – საგარეჯოში.*



**მაია კრაწაშვილი** *სიღნაღელი გოგონა 2008 წელს შემოვიდა საგარეჯოელი გრატიაშვილების ოჯახში. მანამდე ბანკში მუშაობდა, განათლებით ეკონომისტია. ოჯახმა თავისი მოითხოვა, ჯერ ერთი გოგონა შეეძინა, რომელიც ახლა 13 წლისაა, აი, პატარა 4 წლისაა. სწორედ მან მოუტანა ახალგაზრდა დედიკოს ლეიკემიაზე გამარჯვება. დიახ, მაიკო 9 წელი ებრძოდა საშინელ სენს და აი, სასწაულიც მოხდა...*

*დღეს მაიკო შემდგარი მეწარმეა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ხელოვანი, რომელიც ქსოვს ყაისნაღით, საქსოვი ჩხირებით, წინდებს, უმკლავებო მოსაცმელებს, შარფებს, საფულეებს, ხელჩანთებს, ფაჩუჩებს, ქართულ ჩოხას ბოთლს თექისგან დამზადებულ ნაბადს აცმევს., თექისგან ასევე აკეთებს ქართულ ჩოხას, ნაბადს, თოჯინებს. ამზადებს სხვადასხვა ხილისგან ტყლაპს, ნამდვილ, გემრიელ ჩურჩხლებს.*

*მაიკომ ყაისნაღით და საქსოვი ჩხირებით ქსოვა ბებოსგან ისწავლა. რაც შეეხება თექას, თექაზე მუშაობა თავისმა დაიკომ ასწავლა.*

– საგარეჯოში დიდი მოთხოვნაა სეზონზე წინდების, უმკლავებო მოსაცმელების, ასევე სუვენირებად თოჯინების, ბოთლზე ჩამოცმული ჩოხებისა და მინიატურული ნაბდების შეკვეთებს ვიღებ სხვადასხვა ქალაქებიდან. განსაკუთრებით დიდია შეკვეთები მცხეთიდან, სადაც ტურისტთა დიდი ნაკადებია. ასევე, თბილისში, „ორბელიანზე“... გამოფენები მქონდა კახეთშიც და თბილისშიც, ასევე, დიდი ინტერესი გამოიჩინეს უდაბნოში, გარეჯობაზე წარდგენილ ჩემს ნამუშევრებზე, „თბილისობაზე“ ტურისტების გარდა, თავად თბილისელებიც ინტერესდებიან და ზოგი პირადი მოხმარებისათვის, ზოგი საჩუქრებად ყიდულობს ჩემი ხელით შექმნილ ნივთებს. მატყლზე მუშაობა, საერთოდ, სიმართლე გითხრათ, რაღაცნაირად დამამშვიდებელი პროცესია, თითქოს, ის ენერგია, რაც მატყლს აქვს, შენზე დადებითად, სითბოდ გადმოდის და ახალ ენერგიად გარდაიქმნება, რომელიც ახალი საქმის ენერგიულად დაწყების და დამთავრების დიდ სტიმულს გაძლევს. მე კი არ ვიცი, რა მემართება, სულ ვჩქარობ, მინდა რაღაც ახალი გავაკეთო, რაღაც ახალი შევქმნა, მოვასწრო და სურვილი მაქვს იმისაც, რომ ჩემს ორ გოგონასაც ვასწავლო.







ძალიან კარგია საგარეჯოში ასეთი ღონისძიებების მოწყობა, როგორიც დღეს, 12 ოქტომბერს, 9 სექტემბერს იყო და გასულ წელსაც, გამოვცოცხლდით, ერთმანეთიც გავიცანით და მეტი სტიმული მოგვეცა.

**შორენა მიქელაშვილი** *ნინოწმინდის საჯარო სკოლის ტექნიკურ პერსონალშია, ჰყავს ორი შვილი – ქალ-ვაჟი, ორივე სკოლის მოსწავლეა. 12 ოქტომბერს, საგარეჯოში წარმოდგენილ ნამუშევრებს ფაქიზი ხელი ეტყობა, რაღაც სინაზე გამოსჭვივის თუნდაც ამ იის კონიდან.*

*შორენას პოლიმერულ თიხაზე მუშაობა ორი წლის წინ დაუწყია. მეგობარი მუშაობდა და თურმე, მასაც ურჩია. ისწავლა და არც ნანობს, რადგან, როგორც მან მითხრა:*
საოცრებაა პოლიმერულ თიხასთან მუშაობა, ჯერ ხომ სიმშვიდე მეუფლება, შემდეგ ინტერესი – ნეტავ რა გამოვა, როგორი?! ხშირად დამიწყია სულ სხვა წარმოსახვით და შექმნის პერიოდში გადაწყვეტილება შემიცვლია, და წარმოიდგინეთ, იმაზე უკეთესი შემიქმნია და თანაც თითები თითქოს თავად აკეთებს ამ „გზიდან გადახვევას“, თავისით გამოდის სულ სხვა ნივთი გამოძერწვისას.



მთავარიც ხომ ესაა, შემოქმედისთვის, ყოველთვის რაღაცისკენ, განვითარებისკენ, ახალი სიტყვის თქმისაკენაც ისწრაფოდეს?! ძალიან გამახალისა საგარეჯოში გასულ წელს და ახლა, ამ შემოდგომაზე ჩატარებულმა ღონისძიებებმა, აქ ხომ ჩვენი ხელით შექმნილ სულ სხვა სამყაროს ეცნობა დამთვალიერებელი და რაც მთავარია, ერთმანეთს ვეცნობით, ახალ-ახალი გამოფენებისთვის ვემზადებით.

**თამარ მარგებაძე** *მოკრძალებული, ხელით ნაკეთები ნივთები ყველა მანდილოსნისა თუ გოგონას ყურადღებას იპყრობს, ისეთი ნატიფი და ნაზია თითოეული მათგანი – ძნელია თვალი მოსწყვიტო – ბისერებისგან თუ ქსოვილებისგან შექმნილი ნივთები ყველა ასაკის ქალს დაამშვენებს. თამარი ნარჩენი ქსოვილებისგან ქალის სამშვენისებს ამზადებს. წარმოიდგინეთ, ადვილი არ არის ნაჭრისგან, ქსოვილისგან შექმნა საყურე , სხვა აქსესუარები, მაგრამ, როგორც ნამუშევრებიდან ჩანს, თამარს შეუძლია „დაიმორჩილოს“ ბისერიც და მატერიაც და გარეჯელებს შემოგვთავაზოს მართლაც საინტერესო აქსესუარები.*



– მხოლოდ საგარეჯოელები არ იცნობენ ჩემს ნამუშევრებს, – ***მეუბნება თამარი***, – გამოფენები მაქვს მოწყობილი თბილისში – მთაწმინდაზე, რუსთაველის გამზირზე, მონაწილეობა მაქვს მიღებული ბათუმისა და თელავის ფესტივალებში, მაგრამ ყველაზე მეტად საგარეჯოში მიხარია გამოფენის მოწყობა.

*თამარი პროფესიით პოლიგრაფისტია, ხოდა, წიგნისა და გაზეთის სტრიქონების აწყობას 2018 წლიდან სამკერვალო და ხელნაკეთი ნივთების გაკეთება არჩია. დიახ, საგარეჯოელებს გვყავს მისი სახით გოგონა, რომელსაც შეუძლია გაგვაოცოს თავისი ხელებით შექმნილი ნივთებით და სინანულის გრძნობაც მოგვგვაროს, რატომ „მოვიძულეთ“ სახლიდან მორჩენილი ქსოვილები ან ძველი, ჩვენგან დაწუნებული ბისერები.*

**ლიკა სულიკაშვილი** *ბავშვობიდანვე ყოფილა დაინტერესებული ხატვით, თიხაზე მუშაობით და ბისერებთან ახალი, საინტერესო ნაკეთობების შექმნით. ბავშვობიდან ქმნიდა თავისთვის სამშვენისებს, ხატავდა, მაგრამ როგორც თავად ამბობს:*

– პოლიმერული თიხა ჩემთვის ახალი აღმოჩენა იყო 2021 წლიდან. ჯერ ისე, ჩემთვის ვამზადებდი, ვმუშაობდი ინტერესით, შემდეგ, როცა ვნახე, როგორ მოსწონდათ ჩემი ნამუშევრები, გადავწყვიტე პოლიმერულ თიხაზეც გამეგრძელებინა მუშაობა. დიახ, საკმაოდ დიდი მოთხოვნაა ფინჯნებზე, რომლებიც პოლიმერული თიხისგან გამოძერწილი ყვავილებითა და სხვადასხვა აქსესუარებითაა გაფორმებული. ბოლო ორი წელია აქტიურად ვმონაწილეობ გამოფენებში, რაც სტიმულს მაძლევს – სამომავლოდ უფრო უკეთესი ნამუშევარი შევთავაზო მომხმარებელს.

*ვუყურებ, ვათვალიერებ გოგონების ხელით შექმნილ ამ საოცრებებს და ვფიქრობ, რამდენი რამის გაკეთება შეუძლია ადამიანს, მაგრამ, არც იმის ფიქრი მცილდება, რომ როცა ეს გოგონები ამ ნაკეთობებს ქმნიან, მაშინ თავად ღმერთი ჩამოდის მათთან და წარმომიდგენია, როგორი ბედნიერები, ენერგიულები, ხალისიანები, თბილები და კაცთმოყვარენი არიან*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com